საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ოღუზ-ნამე

თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო
ლია ჩლაიძემ

„მეცნიერება"
თბილისი
1974

И (Тур.)
894.35—В
т 88

„ოღუზ-ნამე“ ოღუზი ტომების (თურქული მოდგმის ტომები) ლეგენდარული ეპონიმის—ოღუზ ხაკანისადმი მიძღვნილი საგმირო ეპოსია.

„ოღუზ-ნამეში“ ასახულია შუა საუკუნეების თურქული ტომების სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების სურათები, მათი უძველესი რწმენა-წარმოდგენები.

„ოღუზ-ნამეს“ ქართული თარგმანი გათვალისწინებულია აღმოსავლური ლიტერატურისა და მითოლოგიის საკითხებით დაინტერესებული მკვლევარებისა და მკითხველთა ფართო მასისათვის.

т 70202 / М607(03)—74 101—74
© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1974.

შესავალი

„ოღუზ-ნამე“, ანუ „ოღუზის წიგნი“ ოღუზი ტომების ლეგენდარული ეპონიმის ოღუზ ხაკანის ცხოვრებისა და ბრძოლების ამსახველი ეპოსია[1].

„ოღუზ-ნამეს“ ტექსტი, რომლის ქართულ თარგმანსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ, ჩვენამდე ერთი ხელნაწერით არის მოღწეული. ხელნაწერი შესრულებულია უიღურული დამწერლობით, უიღურულ ენაზე. დაცულია იგი პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში[2]. ფიქრობენ, პარიზის ხელნაწერი უფრო ძველი ხელნაწერიდან უნდა იყოს გადაწერილიო.

ორიგინალის ჩაწერის თარიღად რიზა ნური IX—X საუკუნეებს მიიჩნევს[3], პ. პელიო თვლის, რომ ორიგინალი ჩაწერილია XIII საუკუნის გასულს ტურფანში, ხოლო პარიზის ხელნაწერი გადაწერილია XV საუკუნეში[4].

ა. მ. შჩერბაკის აზრით, ორიგინალი XIII საუკუნის გასულს არის ჩაწერილი, პარიზის ხელნაწერი კი XIV—XV საუკუნეებშია გადაწერილი[5].

პარიზის ხელნაწერის ტექსტი მეცნიერებაში „ოღუზ-ნამეს“ „უიღურული ვერსიის“ სახელით არის ცნობილი, განსხვავებით ე. წ. „მუსლიმური ვერსიისაგან“, რომელიც შესულა ისტორიკოსთა თხზულებებში, ან წარმოდგენილია გვიანდელი ხელნაწერების სახით.

---

[1] „ოღუზ-ნამეს“ უწოდებენ თურქულენოვანი ხალხები იმ ლიტერატურულ ძეგლებს, თუ ფოლკლორულ ნიმუშებს, რომლებსაც თავიანთი ლეგენდარული წინაპრების ეპოქას უკავშირებენ. მაგ. „ოღუზ-ნამეს“ სახელით არის ცნობილი შუა საუკუნეების ოღუზური საგმირო ეპოსის „დედე ქორქუთის წიგნის“ („Kitabi Dedem Korkut“) თვითეული სრმლერი.

[2] ხელნაწერის აღწერა იხ. А. М. Щербак, Огуз-Наме, Мухаббат-Наме, Москва, 1959, стр. 75.

[3] Riza-Nour, Oughouz-namé (Epopeé turque), Alexandrie, 1928, 7.

[4] P. Pelliot, Sur la légence d'Uguz Khan en ecriture ouigoure („T'oung Pao“, 1930, v. XXVII), 358.

[5] დასახელებული ნაშრომი, გვ. 107.

„მუსლიმური ვერსიის“ შემცველი უძველესი თხზულება რაშიდ ედ-დინის „ჯამი ათ თავარიხია“ („ისტორიათა კრებული“), რომელიც ავტორს მიახლოებით 1310 წ. დაუსრულებია[6]. რაშიდ ედ-დინის თხზულებაში ასახვა ჰპოვა თურქულენოვანი ხალხების ლეგენდებმა და განსაკუთრებით, ოღუზ ხაკანის ამბავმა. რაშიდ ედ-დინის თხზულებით უსარგებლოა აბულ ღაზი ხანს თავის „თურქმენთა გენეალოგიის:“ და „თურქთა გენეალოგიის“[7] შექმნისას.

ორივე ავტორთან ლეგენდის გმირი ოღუზ ხაკანი არა მარტო ეპონიმია თურქული ტომებისა, არამედ მათში „ჰეშმარიტი რელიგიის“ — მაჰმადიანობის პირველი მქადაგებელიც. აქ წინა პლანზეა წამოწეული ოღუზის ღვაწლი ჯერ საკუთარი ოჯახისა და შემდეგ თავისი ხალხის ისლამის გზაზე დაყენების საქმეში.

ოღუზ ხაკანის სახელთან დაკავშირებული ლეგენდა მუსლიმურ წრეში გადამუშავებულა და მუსლიმური იდეოლოგიით დატვირთულა.

„ოღუზ-ნამეს“ უიღურული ვერსია არის თურქულენოვანი ხალხების ისტორიული ცხოვრების მომენტების, მათი უძველესი რწმენა-წარმოდგენების მხატვრული ასახვა, რის გამოც ძეგლი თანაბრად საინტერესო ხდება აღმოსავლეთმცოდნეებისა, ზოგადი მითოლოგიის საკითხებით დაინტერესებული მკვლევარებისა, თუ მკითხველთა ფართო მასისათვის.

წინამდებარე თარგმანი შესრულებულია შემდეგი გამოცემების მიხედვით:

1. Riza Nour, Oughouz—namé (Epopée turque)
ალექსანდრია, 1928 წ.

2. А. М. Щербак, Огуз-наме, Мухаббат-Наме,
მოსკოვი, 1959 წ.

3. Oğuz Kağan Destanı, სტამბოლი, 1970 წ. ეს გამოცემა ზუსტად იმეორებს სტამბოლის 1936 წლის გამოცემას (Oğuz Kağan Destanı), რომელიც თავისთავად ვ. ბანგისა და გ. რაჰმეთის გერმანული გამოცემის (1932 წ.) თარგმანია.

რომ არ შეგვემცირებინა თარგმანის მეცნიერული ღირებულება, ვცდილობდით ზედმიწევნით ზუსტად შეგვენარჩუნებინა ტექსტის ლექსიკა, მხატვრული სახეები, მისი რიტმული სტრუქტურა, არა

[6] А. М. Щербак, Огуз-наме, Мухаббат-Наме, стр. 21.

[7] А. Н. Кононов, Родословная тюркмен, М.-Л., 1958, стр. 21.

გამოგვიტოვებია ან ჩაგვიმატებია არცერთი სიტყვა, თუნდაც ეს საჭირო ყოფილიყო რიტმის დასაცავად.

* * *

„ოღუზ-ნამეს“ უიღურულ ვერსიას კარგა ხანია მიუპყრია მეცნიერთა ყურადღება. ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს ვ. ვ. რადლოვმა გამოაქვეყნა მისი ხელნაწერის აღწერა, ფაქსიმილე, ტრანსკრიბირებული ტექსტი თარგმანითურთ[8].

ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლებში რიზა ნურმა, ვ. ბანგმა და გ. რ. რაჰმეთიმ გამოაქვეყნეს ტექსტი გამოკვლევით[9]. იმავე ავტორებს და პ. პელიოს ეკუთვნით „უიღურულ ვერსიასთან“ დაკავშირებული სხვა შრომებიც, რომლებშიც ძირითადი ყურადღება ეთმობოდა ტექსტის ამოკითხვას, მის დადგენას, ენობრივ ანალიზს, დათარიღებას[10].

ა. მ. შჩერბაკის შრომა შედარებით მეტ საკითხებს მოიცავს, მაგრამ მასშიც თითქმის ყურადღების გარეშე რჩება „ოღუზ-ნამე“, როგორც მხატვრული ნაწარმოები.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია გააცნოს ქართველ მკითხველს „ოღუზ ნამე“, მისი ეპიკური ფონი, თურქული ტომების უძველესი რწმენა-წარმოდგენები, მიაწოდოს მას „ოღუზ-ნამეს“ უიღურული ვერსია, როგორც თურქულენოვანი ხალხების პოეტური ტრადიციის ასახვა.

„ოღუზ-ნამეს“ შესწავლისას პირველ რიგში ყურადღებას იქცევს მისი ჟანრის საკითხი.

ა. მ. შჩერბაკის განსაზღვრით „ოღუზ-ნამე“ ეპოსია, რომელსაც საფუძვლად უდევს გენეალოგიური მითი“[11]. მართალია, მას აღარ დაუკონკრეტებია, თუ ეპოსის რა სახეს გულისხმობდა, მაგრამ როცა შემდგომ მსჯელობაში არკვევს მითის ადგილს „ოღუზ-ნამეში“, თითქოს ცხადი ხდება, რომ ავტორი „ოღუზ-ნამეს“ მი-

---

[8] იხ. В. В. Радлов, Факсимиле уйгурской рукописи. СПб. 1890. К вопросу об уйгурах (Приложение к XXII тому ЗАН. № 2. СПб, 1893).

[9] W. Bang und G. R. Rachmati, Die Legende von Oghuz Qaghan. Sitzungs berichte der Preussischen Akademie der „Wissenschaften“, Phil., hist. XXX, ბერლინი, 1932, გვ. 683.

[10] საკითხის ბიბლიოგრაფია იხ. ა. მ. შჩერბაკის შრომაში Oγuz-Nameh.., стр., 7—9. სხვა ავტორთა შრომებს გზადაგზა შეეხებით.

[11] ა. მ. შჩერბაკი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 100.

თოლოგიურ ეპოსად არ უნდა მიიჩნევდეს, მაგრამ მაინც გაურკვეველი რჩება, ეპოსის რომელი სახე იგულისხმება.

ჩვენი აზრით, „ოღუზ-ნამე“ საგმირო ეპოსია, წარმოდგენილი საკმაოდ არქაული ფორმით. ამას შემდეგი გვაფიქრებინებს:

როგორც ცნობილია, საგმირო ეპოსის გაჩენა უკავშირდება პირველყოფილი თემური წყობილების რღვევისა და სახელმწიფოების ფორმირების პროცესს. იგი ასახავს ამ პროცესს — გვარის, ტომის, ხალხის სოციალურ-პოლიტიკურ ბრძოლას, რომელიც ცხოვრების აუცილებლობით არის ნაკარნახევი[12]. ბრძოლა შეიძლება დაპყრობითიც იყოს, მაგრამ ესეც გაპირობებულია ეპოქის ხასიათით, როცა ბრძოლა „არის უდიდესი საერთო ამოცანა, დიდი სამუშაო, რომელიც არსებობის ობიექტური პირობების მოსაპოვებლად არის აუცილებელი“[13].

ე. მ. მელეტინსკიმ, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა თურქულ-მონღოლური ხალხების არქაული საგმირო ეპოსი მათივე ისტორიული ცხოვრების ფონზე, აღნიშნა, რომ იმ სამხედრო-პოლიტიკური კავშირების არსებობამ, რომლებიც იქმნებოდა სხვადასხვა თურქული ტომების ჰეგემონიის ქვეშ, განაპირობა მათი საგმირო ეპოსის გაჩენა[14].

ამ ეპოსის ცენტრში უკვე დგება გმირი, რომელიც თავის სახეში აერთიანებს ხალხის იდეალებს, იბრძვის ხალხის კეთილდღეობისათვის.

ე. მ. მელეტინსკი თურქულ-მონღოლური საგმირო ეპოსის რამდენიმე ძირითად ნიშანს გამოჰყოფს. მათგან ჩვენთვის საინტერესოა შემდეგი: საგმირო ქორწინება, ბრძოლა ურჩხულებთან, რომლებიც წარმოადგენენ დაბრკოლებას საცოლისაკენ მიმავალ გზაზე, ან საფრთხეს უქმნიან გმირის სამშობლოს, მის ხალხს. ამ მოტივის სახეცვლილებაა გმირის ბრძოლა ისტორიული მტრის წინააღმდეგ[15].

ამრიგად, საგმირო ეპოსი საზოგადოების ისტორიული განვითარების ნაყოფია და ისტორიული ცხოვრების პოეტური ანარეკლი.

---

[12] В. Е. Гусев, Эстетика фольклора, Ленинград, 1937, стр. 131.

[13] კ. მარქსის სიტყვები მოყვანილია ვ. ე. გუსევის ზემოდასახელებული შრომიდან, გვ. 31—32.

[14] Е. М. Мелетинский, Происхождение героического эпоса, Москва, 1963, стр. 247—251.

[15] იქვე, გვ. 283.

საგმირო ეპოსი, ისახება კლასობრივი საზოგადოების გარიჟრაჟზე და ეყრდნობა წინაკლასობრივი საზოგადოების ფოლკლორულ ტრადიციებს. ე. მ. მელეტინსკის გარკვევით თურქულ-მონღოლური ხალხების საგმირო ეპოსი განსაკუთრებით უხვ საზრდოს პოულობს ამ ხალხთა მითოლოგიურ ეპოსში[16].

საგმირო ეპოსს თავისი სპეციფიკური ფორმა გააჩნია, თურქულენოვანი ხალხების ეპოსი უმეტესად ლექსნარევი პროზაა, იშვიათად — სუფთა ლექსი. ეპიკური სტილისათვის დამახასიათებელია გმირის სახის ჰიპერბოლიზაცია და ე. წ. ეპიკური ფორმულების სიუხვე.

შეიძლება ითქვას, „ოღუზ-ნამეში“ საგმირო ეპოსის ყველა ჩამოთვლილი ნიშანი გვაქვს.

ნათელი რომ გახდეს, თუ როგორ აირეკლა „ოღუზ-ნამეში“ მისი შემოქმედი ხალხის ბრძოლებისა თუ ცხოვრების სურათები, ორიოდე სიტყვით შევეხებით ამ ხალხის ვინაობას, მისი ისტორიის ძირითად მომენტებს იმ პერიოდისათვის, როცა იქმნებოდა „ოღუზ-ნამეს“ ჩვენამდე მოღწეული ტექსტის საბოლოო ჩამოყალიბება.

როგორც აღვნიშნეთ, ოღუზ ხაკანი ოღუზ-ტომების ლეგენდარული წინაპარია. მას უკავშირებს თავის წარმოშობას 24 ოღუზური ტომი. თვით ოღუზ ხაკანი კი თავის თავს „უიღურთა ხაკანს“ უწოდებს.

ვინ იყვნენ ოღუზები?

ოღუზებად იწოდებოდნენ ტომობრივი გაერთიანებები, რომლებიც უკვე ჩვენი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში შედიოდნენ იმ უდიდეს მომთაბარე იმპერიაში ჩინეთის კედლებიდან შავ ზღვამდე რომ იყო გადაჭიმული[17].

თურქთა სახაკანოს დაშლის შემდეგ (VIII ს.) ოღუზებმა შექმნეს დიდი სახელმწიფო სირ-დარიის დაბლობზე. IX საუკუნის მიწურულისათვის მათ დაამარცხეს პაჭანიგები და დაიპყრეს მათი მიწები ურალსა და ვოლგას შორის[18]. X საუკუნის გეოგრაფების ცნობით, ოღუზები ესაზღვრებოდნენ დასავლეთით ხაზარებსა და ბულგარებს, ხოლო ალმოსავლეთით კაიმაკებს[19]. ამ ხალხის

---

[16] იქვე, გვ. 256—257.

[17] В. В. Бартольд, Гуз. „Сочинения“. т. 5, Москва, 1968, стр. 524—528. იქვე, გვ. 525.

[18] იქვე, გვ. 525.

[19] მოგვაქვს ს. გ. აღაჯანოვის წიგნის მიხედვით: Очерки истории Огузов и Туркмен Средней Азии, IX—XIIIв. Москва, 1968. стр. 78.

ერთი ნაწილი დასახლდა მანგიშლაკის ნახევარკუნძულზე (კასპიის ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო). X საუკუნიდან იწყება ოღუზების გადასვლა ე. წ. „მუსლიმურ მიწებზე“[20].

X საუკუნიდან XI საუკუნემდე შუააზიაში ჰეგემონია ოღუზთა ტომების ბელადების ხელთ იყო[21]. ამ საუკუნეებში ოღუზური ტომების უმეტესობა შედიოდა იაბღუს სახელმწიფოს შემადგენლობაში[22].

X საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან ოღუზთა შორის დაწინაურდა სელჩუკთა დინასტიის მეთაური სელჩუკი, რომელმაც გაწყვიტა კავშირი ოღუზებთან, გადავიდა მავერანნაჰრში, თავის გარშემო შემოიკრიბა ოღუზთა ერთი ნაწილი, მიიღო ისლამი და დაიწყო ბრძოლა ოღუზთა სხვა ტომების წინააღმდეგ. ამ ბრძოლების საბოლოო შედეგი იყო სელჩუკთა იმპერიის შექმნა.

ეთნონიმ ოღუზის შესახებ ბევრი თქმულა. მის გაშიფვრას ცდილობდნენ ი. ნ. ბერეზინი, პ. პელიო, ლ. ლიგეთი და სხვები.

ი. ნ. ბერეზინის აზრით ეთნონიმი იკითხება, როგორ „უღუზ“ და ნიშნავს ხსენს[23]. ამავე აზრისაა პ. პელიო[24]. ლ. ლიგეთის ეტიმოლოგიით სიტყვა იშლება „ოქ“-ისარი და — „უზ“ მრავლობითი რიცხვის ნიშანი[25].

მკვლევართა ერთი ნაწილი ამ სიტყვას ოღუზ ხაკანის სახელს უკავშირებს და თვლის, ეთნონიმი სათავეს ლეგენდარული წინაპრის სახელიდან იღებსო. თვით სახელს კი შიფრავენ როგორც „ოქუზ“ — ხარი[26].

„ოღუზ“ სიტყვის ყველაზე სწორი და დღესდღეობით მიღებული ეტიმოლოგია ეკუთვნის ა. ნ. კონონოვს.

ა. ნ. კონონოვის აზრით, „ოღუზ“ სიტყვა იშლება „ოღ“, რაც ძველ თურქულში ნიშნავდა „ტომს“, „გვარს“ და „ — უზ“ მრავლობითი რიცხვის ნიშანი. ამრიგად სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო „ტომი“, „გვარი“, რომელსაც საჭიროების

---

[20] В. В. Бартольд, დასახელებული წერილი, გვ. 525.

[21] იქვე.

[22] იქვე, გვ. 82.

[23] И. Н. Березин, История монголов, сочинение Рашид-Эдина, СПб, 1861, стр. 5.

[24] P. Pelliot, Sur la légende d'UYuz-khan, стр. 247—357.

[25] მოგვაქვს წიგნიდან: А. Н. Кононов, Родословная туркмен, стр. 83.

[26] იქვე, გვ. 83.

შემთხვევაში ემატებოდა განსაზღვრებით დეტერმინატივი „უჩ“ — „სამი“, „დოქუზ“ — „ცხრა“, „უჩ ოქუზ“, „დოქუზ ოღუზ“ ნიშნავს „სამი ტომი“, „ცხრა ტომი“[27].

დროთა განმავლობაში „ოღუზ“ სიტყვის ეს მნიშვნელობა დავიწყებას მიეცა და იგი, იქცა რა ეთნონიმად, დაუკავშირდა ლეგენდარულ წინაპარს. ამავე დროს გაკეთდა ამ სიტყვის ხალხური ეტიმოლოგია უკვე ქღერადობის მიხედვით და მივიღეთ ოღუზ — ოქუზ (ხარი)[28].

მაგრამ იმასაც სჭირდებოდა ახსნა, თუ რატომ დაერქვა ხაკანს ხარი. ამიტომ დაუკავშირეს თურქული მოდგმის ტომთა ტოტემსა თუ წმინდა ცხოველს ხარს[29].

შუასაუკუნეების ოღუზებს ეთნიკური და ენობრივი მონაცემების მიხედვით ენათესავებიან დღევანდელი თურქმენები, აზერბაიჯანელები და ანატოლიის თურქები.

რამდენიმე ტომის, რამდენიმე „ოღუზის“ გაერთიანებას ქმნიდნენ უიღურები, რომლებიც თელეს ტომის შთამომავალნი იყვნენ და აღმოსავლურ თურქულ სახაკანოში შედიოდნენ[30].

VIII საუკუნის შუა პერიოდში უიღურებმა შექმნეს თავიანთი სახელმწიფო, რომელშიც თანაბარი უფლებებით შედიოდნენ ცხრა ოღუზური ტომი — „დოქუზ ოღუზ“, ბასმალები და აღმოსავლეთის უიღურები. მათ შორის გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ დოქუზ ოღუზებს.

უიღურთა ხანის რეზიდენცია მდ. ორხონის ნაპირზე იდგა. უიღურთა სახელმწიფოს საზღვრები მოიცავდა დასავლეთ მანჯურიას და ჯუნგარიის დასავლეთ ნაწილს. უიღურთა სახაყანოს ტერიტორიაში შედიოდა აგრეთვე მდინარე ირტიშის აუზიც[31].

VIII საუკუნის მეორე ნახევარში უიღურთა სახელმწიფო რელიგიად იქცა მანიქეველობა. ხაკანის მიერ მოწვეულმა მქადაგებლებმა ეს სარწმუნოება უქადაგეს უიღურებს[32].

მანიქეურ რელიგიას მოჰყვა ახალი დამწერლობის შემოღება. ახალი დამწერლობა, რომელიც „უიღურული დამწერლობის“ სახე-

---

[27] А. Н. Кононов. Родославная Туркмен. стр. 83—84.

[28] იქვე. გვ. 84.

[29] იქვე.

[30] Л. Н. Гумилев. Древние тюрки. Москва, 1967, стр. 373.

[31] იქვე.

[32] იქვე. გვ. 381—386.

ლით არის ცნობილი, მომდინარეობს ახალსოღდიური დამწერლობიდან და გამოირჩევა მოხერხებულობითა და სისადავით[33].

ახალი რელიგიის მიღებამ ახალი შტრიხები შეიტანა უიღურების ცხოვრებაში, ქვეყანა სამეურნეო და კულტურული აღმავლობის გზას დაადგა. მაგრამ უიღურთა სახაკანოს დიდხანს ალარ უარსებია, IX საუკუნეში ყირგიზების მძლავრი შემოტევების შედეგად მან არსებობა შეწყვიტა[34].

მართალია, მანიქეველობა უიღურთა ოფიციალური რელიგია იყო, მაგრამ იგი ძირითადად დიდებულთა რელიგიად რჩებოდა, ხალხის მასაში ძალიან ღრმად ჰქონდა გამდგარი ფესვები ძველ თურქულ წარმართულ რელიგიას[35].

X საუკუნიდან უიღურები, ოღუზები, ყივჩალები, კანგლი შედიან ახალ თურქულ სახელმწიფოში — ყარახანიდების სახელმწიფოში, რომელიც იქმნება „შუა აზიასა და აღმოსავლეთ თურქესტანის ტერიტორიებზე არსებული მსხვილი ტომობრივი კავშირების საფუძველზე“[36].

ყარახანიდების სახელმწიფოს ოფიციალური რელიგია ისლამი იყო. ამ სახელმწიფომ 1165 წლამდე იარსება.

ა. მ. შჩერბაკი თვლის, რომ ყარახანიდების მიერ წარმოებულმა დაბყრობითმა ომებმა თავისებური კვალი დაატყო „ოღუზ-ნამეს“ იმ ნაწილს, რომელიც ოღუზის ბრძოლების ამბებს ეხება[37].

მართალია, „ოღუზ-ნამეში“ აღწერილი ამბები შეიძლება კონკრეტულად არ ასახავდეს თურქულ ტომთა ცხოვრების ამა თუ იმ ეპიზოდებს, მაგრამ ის მაინც ისტორიული სინამდვილის ანარეკლია.

ოღუზ ხაკანის დაპყრობითი ომები თურქული მომთაბარე და ნახევრადმომთაბარე სამხედრო სახელმწიფოს არსებობის ერთადერთი საშუალებაა.

„ოღუზ-ნამეში“ ჩანს უიღურთა ტომობრივი ორგანიზაცია — ისინი იყოფიან მსხვილ ტომობრივ გაერთიანებებად უჩუქებად და ბუზუქებად[38]. შედარებით მცირე ტომები — კარლუკები, ყივ-

---

[33] Л. Н. Гумилев. Древние тюрки. стр. 385.

[34] იქვე. გვ. 429—431.

[35] იქვე. გვ. 428.

[36] А. М. Щербак. Огуз-наме. стр. 99.

[37] იქვე. გვ. 100.

[38] ვ. ვ. ბარტოლდის გარკვევით, ოღუზი ტომების დაყოფა ბუზუქებად და უჩუქებად მონღოლებამდე პერიოდში არსებობდა. იხ. В. В. Бартольд. Соч., V. стр. 525.

ჩაღები, კანგლი და სხვა, ოღუზთა მიმართ დამოკიდებულ მდგომარეობაში არიან — მათი მეთაურები ოღუზის ქვეშევრდომნი, მისი ბეგები არიან.

თურქული სამხედრო არისტოკრატია იყოფოდა მარჯვენა და მარცხენა ფრთად[39].

„ოღუზ-ნამეში“ ამ დაყოფის სურათი გვაქვს ოღუზის მიერ გამართული პურობის აღწერისას. მარჯვნივ განლაგდნენ ბუზუქები, მარცხნივ — უჩუქები, შუაში იგულისხმება ხაკანის ოჯახი.

აქვე ჩანს ბუზუქთა უპირატესობა უჩუქების წინაშე — რაც ასახვაა თურქულ სამხედრო არისტოკრატიაში არსებული დიფერენციაციისა.

თურქულ სამყაროში გავრცელებული კანონის თანახმად შვილები სამ კატეგორიად იყოფოდნენ: 1. შვილები, რომლებიც ჩნდებოდნენ თურქული მოდგმის მშობლების ქორწინების შედეგად. მათ „საფუძველი“ ეწოდებოდათ; 2. შვილები, რომლებიც ჩნდებოდნენ თურქი მამისა და უცხო მოდგმის დედის ქორწინების შედეგად. მათ „ყულ“ — მონა ეწოდებოდათ; 3. უკანონოდ შობილნი[40].

ამ კანონის ანარეკლი გვაქვს „ოღუზ-ნამეში“, სადაც ოღუზ ხაკანის პირველი, ღვთაებრივი ცოლისაგან ნაშობი შვილები უფროსი ძმები არიან და ოქროს მშვილდის მფლობელნი, მეორე, მიწიერი ცოლის შვილები — უმცროსი ძმები ვერცხლის ისრებს ფლობენ.

დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიმართული ოქროს მშვილდი არის სიმბოლო ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორემდე უფროსი ძმების ბატონობისა, უმცროსი ძმები კი, როგორც „მშვილდიდან ასხლეტილი ისრები“, უფროსებზე არიან დამოკიდებულნი.

„თურქმენთა გენეალოგიაში“ ავტორი ოღუზ ხაკანს ათქმევინებს: „მშვილდი და ისრები, რომლებიც თქვენ (ე. ი. ოღუზის შვილებმა) ნახეთ და მოიტანეთ, ადამიანთა კუთვნილება კი არ იყო, არამედ, ღვთის განგება. იმ ხალხს, რომლებიც ჩვენზე ადრე ცხოვრობდა, ასე მიაჩნდა: მშვილდი მბრძანებელია, ისარი მისი მო-

---

[39] Л. Н. Гумилев, Древние тюрки, стр. 60.

[40] А. Н. Кононов, Родословная туркмен, стр. 93.

ციქული, იმიტომ, რომ რომელ მხარესაც მშვილდი მიმართავს ისრებს, ისინიც იქით მიჰქრიან"[41].

ოღუზ ხაკანის მემკვიდრეების დაყოფა ცნობილია აგრეთვე აბულ ღაზის „თურქმენთა გენეალოგიითა" და მაჰმუდ ყაშღარელის ლექსიკონის მიხედვით[42]. აბულ ღაზი ჩამოთვლის ოღუზ ხანის მემკვიდრეთა 24 სახელს, რაც ოღუზთა ოცდაოთხი ტომის შესატყვისია. მაჰმუდ ყაშღარელი კი მხოლოდ 22 ტომს ასახელებს. როგორც ფიქრობენ, მის დროს (XI ს.) ორი ტომი უკვე გამოყოფილი იყო ძირითადი ტომობრივი გაერთიანებიდან და ცალკე ხალხს ქმნიდა. ეს ხალხი უნდა ყოფილიყო ქალაჩი||ყალაჩი, რომლის გამოყოფის ამბავიც მოთხრობილია „ოღუზ ნამეში"[43].

„ოღუზ ნამეში" მნიშვნელოვანი ამბების გადასაწყვეტად ტომის წევრთა თავყრილობა — ყურულთაი იკრიბება. ყურულთაიზე უნაწილებს ოღუზი თავის შვილებს თავის სამფლობელოს.

„ოღუზ ნამეს" თავისი დროის თურქული ტომების ცხოვრების ერთი საინტერესო დეტალიც შემოუნახავს: თურქულ ტომებში ისლამამდე ქალი დიდი პატივითა და უფლებებით სარგებლობდა, რაც გაპირობებული იყო მომთაბარე მეჯოგე ტომთა ცხოვრების სპეციფიკით.

თურქული ტომების ქალები მამაკაცის თანაბარი უფლებებით სარგებლობდნენ: ხელმძღვანელობდნენ ტომებს, მონაწილეობდნენ ბრძოლებში, ესწრებოდნენ ტომის თავყრილობას. ისინი მამაკაცის თანაბრად ატარებდნენ ბეგისა თუ ხანის ტიტულებს.

ქალ ხაკანს იცნობს „ოღუზ ნამე". ეს არის ოღუზის დედა აი ხაკანი.

ა ი-ხ ა კ ა ნ ი. აი ხაკანი ოღუზის დედაა. ეს სახელი სიტყვასიტყვით „მთვარე ხაკანს" ნიშნავს „მთვარე" ჩვეულებრივია თურქული მოდგმის ტომებში ქალის სახელის აღსანიშნავად (ალთაის ტომებში ვხვდებით სახელს აი-კო) რაც შეეხება ქალის მიმართ ხაკანის ტიტულის ხმარებას, ამის შესახებ ა. ბერნშტამი ფიქრობს, რომ იგი უნდა იყოს პატრიარქალური საწყისისადმი მატრიარქალურის დაპირისპირების პოეტური ასახვა. თვით აი-ხაკანს ბერ-

[41] იქვე, გვ. 49.
[42] А. Н. Кононов, Родославная туркмен, стр. 50, 91—92.
[43] В. В. Бартольд, соч. V, стр. 526.

წმტამი უიღურულ იშთარს უწოდებს და ღვთაება უმაის უკავშირებს[44].

უმაი ძველი თურქული პანთეონის უპირველეს ღვთაებად არის მიჩნეული. ძველმა თურქულმა წერილობითმა ძეგლებმა შეშოგვინახა ცნობა ღვთაება უმაის შესახებ. ამ ცნობების უმაი ნაყოფიერების ღვთაებაა, მაგრამ ფიქრობენ, რომ უმაის ფუნქციები ბევრად უფრო მრავალფეროვანი იქნებოდა[45].

ღვთაება უმაი დღეისათვის ალთაის ტომებში, ყირგიზებსა და უზბეკებს შორის არის შემორჩენილი.

ყირგიზების „უმაი ენე" ქალი ღვთაებაა, რომელიც მფარველობს ქალებსა და ბავშვებს[46].

ჩვენი აზრით, უმაი გარკვეულ კავშირს უნდა იჩენდეს ძველი ინდური ქალი ღვთაების, დიდი შივას მეუღლე უმასთან.

საერთოდ, ღვთაება უმაის სახე ძალიან საინტერესო და ნაკლებშესწავლილია, იგი საგანგებო კვლევის საკითხია, მაგრამ რით უკავშირდება აი-ხაკანი უმაი ანას, ჩვენთვის არც თუ ნათელია. „ოღუზ-ნამე" ასეთი დაკავშირებისათვის ძალიან საეჭვო მასალას იძლევა.

„ოღუზ-ნამეში" შემორჩენილია საზოგადოების დუალური ორგანიზაციისათვის დამახასიათებელი ბინარული სიმბოლური კლასიფიკაცია. ეს არის სქესის სიმბოლო, აგრეთვე დაპირისპირება — ცა-მიწა, უფროსი-უმცროსი, მარჯვენა-მარცხენა, თეთრი-შავი.

როგორც ლ. ნ. გუმილევი აღნიშნავს, უიღურული ტომები თავიანთ წინაპრად ხვად მგელს მიიჩნევდნენ და სწორედ ამით უპირისპირდებოდნენ სხვა თურქულენოვან ტომებს[47]. ამდენად, შემთხვევითი არ არის, რომ ოღუზის წინამძღოლი და გამარჯვებების სულის ჩამდგმელი მგელი ხვადია.

რაც შეეხება დაპირისპირებას ცა-მიწა, უფროსი-უმცროსი, „ოღუზ-ნამეში" ამის ასახვა ოღუზის ცოლებისა და შვილების ამბავია.

---

[44] А. Н. Бернштам, Историческая правда в легенде об Огуз Кагане, СЭ, 1935, № 6, стр. 40,-41.

[45] И. В. Стеблева, К реконструкции древнетюркской религиозно-мифологической системы „Тюркологической сборник", 1971, Москва, 1972, стр. 214.

[46] С. М. Абрамзон, Киргизы, Ленинград, 1971, стр. 275.

[47] Л. Н. Гумилев, Древние тюрки,стр. 181.

ოღუზ ხაკანის პირველი ცოლი ციდან დაშვებულ ლურჯ სხივში გამოხვეული მოევლინა ქმარს. ლურჯი სხივი ცის მოციქულია, ღვთიური ძალის გამოვლინებაა, რამეთუ ცა უმაღლესი ღვთაებაა. (ამის შესახებ ქვემოთ).

პირველი ცოლისაგან განსხვავებით, მეორეს მიწიერი საწყისი აქვს — იგი ხის ფუღუროში იპოვა ოღუზ ხაკანმა[48].

პირველი ცოლის გარეგნობის დასახატავად ციურ, ღვთაებრივ ატრიბუტებს იყენებს „ოღუზ-ნამე“ — მას შუბლზე პოლარული ვარსკვლავის დარი მანათობელი ხალი აქვს, მის სიცილზე ცა იცინის და ტირილზე — ცა ტირის.

მეორე ცოლი კი თავისი სილამაზით ადამიანებს ხიბლავს და ატირებს, რძეს კუმისად აქცევს, მისი თმები მდინარის ტალღებს ჰგავს.

ღვთიური ცოლისაგან ნაყოლი შვილებიც ღვთიუროზის, ზებუნებრივობის მატარებლები არიან, ამიტომ მათი სახელებიც ციური სამყაროდან არის აღებული — მზე, მთვარე, ვარსკვლავი.

მიწიერი ცოლის შვილები თავიანთი სახელებითაც რეალურ სამყაროს უკავშირდებიან — ცა, მთა, ზღვა. ოღონდ აქ იგულისხმება არა ცა, როგორც უმაღლესი ღვთაება, არამედ ხილული და რეალური ცა. (ამ ორი გაგების ურთიერთმიმართებაზე ქვემოთ შეეჩერდებით).

ციური და მიწიერი ცოლების შვილების დაპირისპირება ქმნის დაპირისპირებას უფროსი-უმცროსი. ციური ქალის შვილები უფროსი ძმები არიან და ოქროს ისრებს ფლობენ, მიწიერი ქალის შვილები უმცროსი ძმები არიან და ვერცხლის ისრებს ფლობენ. ისინი უფროს ძმებზე არიან დამოკიდებულნი.

მარჯვენა-მარცხენა დაპირისპირების ასახვაა ბუზუქებისა და უჩუქების ადგილის მკაცრი განსაზღვრა ხაკანის პურობაზე.

თეთრისა და შავის, ანუ ბოროტისა და კეთილის დაპირისპირებაზე ქვემოთ შეეჩერდებით, ახლა კი მოკლედ განვიხილავთ იმ ეპიკურ მოტივებს, რომლებიც გვხვდება „ოღუზ-ნამეში“.

პირველ რიგში აღსანიშნავია ოღუზის ბრძოლა მარტორქასთან. მსოფლიო ხალხთა საგმირო ეპოსის ძირითადი თემა — გმირის ბრძოლა მხეცებთან და ურჩხულებთან, თურქულენოვან ხალხთა უძველესი საგმირო ეპოსის ცენტრალური თემაა[49].

---

[48] ხის ფუღუროში ქალის პოვნა მსოფლიო ეპოსისათვის დამახასიათებელი მოტივია (შდრ. ქართული ეპოსი „ეთერიანი“).

[49] Е. М. Мелетинский. Происхождение героического эпоса, стр. 271.

„ოღუზ-ნამეს“ მარტორქა ადამიანთა უბედურების სიმბოლოა, მისი მოკვლით ოღუზი თანამოძმეთ უბედურებისაგან იხსნის.

ჩვეულებრივად, ეპოსში ურჩხულებთან ბრძოლის თემა სხვა თემებს უკავშირდება ხოლმე. ჩვენი აზრით, „ოღუზ-ნამეში“ იგი ინიციაციისა და „საგმირო ქორწინების“ მოტივებს უნდა უკავშირდებოდეს.

თურქული მოდგმის ხალხებში გვიანობამდე შემორჩენილა პირველი გმირობის ჩადენის, პირველი სისხლის დაღვრის ადათი. რომლის ძალითაც ჰაბუკი მხოლოდ მას შემდეგ ხდება თავისი ტომის სრულუფლებიანი წევრი, რაც მტრის სისხლს დაღვრის. მანამდე მას სახელიც არ ერქვა. გმირობის ჩადენის შემდეგ შეიყრებოდა ტომის ყველა სრულწლოვანი წევრი და ტომის უხუცესი ჰაბუკს დაარქმევდა სახელს, რომელშიც აისახებოდა სახელი ან ფერი მისი ცხენისა, როგორც პატრონის გმირობის მონაწილისა[50].

„ოღუზ-ნამეში“ ამ ადათის გამოძახილი შემდეგში მდგომარეობს: ოღუზი ცხენით დაჭრის, მწყემსავს რემას, ნადირობს, მაგრამ ჰაბუკი მაინც არ არის, ასეთად ის მხოლოდ „ბევრი დღისა და ღამის შემდეგ“ იქცევა და მოთხრობილია, თუ როგორ იქცა ოღუზი ჰაბუკად — როგორ მოკლა მარტორქა.

„ოღუზ-ნამეში“ არც „გმირულ ქორწინებაზე“ გვაქვს პირდაპირი მითითება, მაგრამ თუ დავაკვირდებით ოღუზის ცოლების შერთვის ეპიზოდებს, ვნახავთ, რომ ორივე შემთხვევაში ქორწინებას წინ უძღვის საგმირო საქმის ჩადენა.

პირველ შემთხვევაში ოღუზმა მარტორქა მოკლა და ამის შემდეგ ნახა ცის გამოგზავნილი ღვთიური ქალი. მეორედ, მართალია, განსაკუთრებული გმირობა არ ჩაუდენია, მხოლოდ სანადიროდ იყო, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ნადირობის ადგილსა და მნიშვნელობას თურქულ-მონღოლური ხალხების ცხოვრებაში[51]. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მეორე ცოლიც გარკვეული ღვაწლის საზღაურია. მეორე ცოლი პირველივით ღვთიური ქალი არ არის, ამიტომ მის მოსაპოვებლად ჩადენილი გმირობა შეიძლება არ უტოლდებოდეს „ლურჯი სხივით“ ციდან მოვლენილი ქალისათვის ჩადენილ გმირობას.

---

[50] M. Sakir Ülkütaşir, Türk Halk Bilgisine ait Araştırmalar, სტამბოლი, 1938, გვ. 3.

[51] В. Л. Гордлевский, Государство Сельджукидов Малой Азии. Избр. соч. I, М., 1960, стр. 82.

ეპოსის ცენტრში დგას ოღუზ ხაკანი. ყველა მეცნიერი, ვინც კი „ოღუზ-ნამეთი“ დაინტერესებულა, ცდილა ოღუზის პროტოტიპის გარკვევას.

ერთნი ფიქრობენ, რომ ოღუზი იგივე მოდეა, ჰუნების შანუის (მთავარის) მემკვიდრე, რომელმაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე საუკუნეში მოკლა საკუთარი მამა, დედინაცვალი, ძმა და ხელთ იგდო ძალაუფლება. მოდეს შესახებ ცნობები შემოუნახავს ჩინურ ქრონიკებს.

ოღუზისა და მოდეს იგივეობის შესახებ აზრი პირველმა ი. ბიჩურინმა წამოაყენა[52].

იგივე აზრი განავითარა ა. ნ. ბერნშტამმა ჯერ სტატიაში „Историческая правда в легенде об Огуз Кагане“[53], შემდეგ კი მონოგრაფიაში „Очерк истории гуннов“[54].

ა. ნ. ბერნშტამის თქმით, მოდეს ბიოგრაფია უმცირეს დეტალებშიც კი ემთხვევა ოღუზ ხაკანის ბიოგრაფიას. განსხვავებას ქმნის ოღუზისა და მოდეს სახელები, მაგრამ სწორედ ამ სახელების ანალიზით მიდის ა. ნ. ბერნშტამი მოდესა და ოღუზ ხაკანის იგივეობამდე.

ა. ნ. ბერნშტამის ეტიმოლოგიით „მოდე“ სიტყვის ჩინური ტრანსკრიბცია არის „მაო თუნ“, იგივე ტრანსკრიბცია აქვს „ბაღათურ“ სიტყვას, ე. ი. „მოდე“ — „მაო თუნ“ — „ბაღათურ“.

ჰუნების სამეფო გვარს ჩინურ ქრონიკებში „ჰუიან“ სახელით მოიხსენიებენ ამ სიტყვიდან ავტორს გამოჰყავს მონღოლური ტერმინი „უქერ“, რაც ხარს ნიშნავს და თურქული ენების „ოღუზის“ არქეტიპია[55].

ამ დასკვნას ავტორი ამაგრებს იმ მოსაზრებით, რომ ჰუნების შანუის ტოტემი იყო ხარი.

ამგვარად, ხარი იყო მოდე მთავრის გვარის ტოტემი და ამავე დროს საკუთარი სახელი. ა. ნ. ბერშტამის დასკვნით, „ჰუნების ტომობრივი კავშირის ფაქტიური დამაარსებლის სახელი იყო „მოდე“, გვარი „ოღუზ“, სიტყვა-სიტყვით თარგმანში „ხარი ბაღათური“[56].

---

[52] И. Бичурин. Собрание сведений о народах, обитавших в Средней Азии в древние времена. Москва-Ленинград. 1950. стр. 46—47.

[53] СЭ, 1935, №3. стр. 35.

[54] ლენინგრადი, 1951.

[55] იქვე. გვ. 224—235.

[56] იქვე. გვ. 229.

აქედან გამომდინარე, ოღუზ ხაკანის წარმოშობა ჰუნებს უკავშირდება[57]. ი. მარკვარტის აზრით, ოღუზ ხაკანი ჩინგიზ ყაენია. ამის საბუთად ავტორს ის მიაჩნია, რომ ოღუზ ხაკანის მიერ გადატანილი ბრძოლები ძალიან ჰგავსო ჩინგის ყაენის ბრძოლებს[58].

ამავე ნიშნით ოღუზ ხაკანს ალექსანდრე მაკედონელთანაც აიგივებენ.

ა. ნ. შჩერბაკს დასაშვებად მიაჩნია, რომ ოღუზ ხაკანის პროტოტიპი ჩინგის ყაენში ვეძებოთ[59].

მკვლევართა ერთი ნაწილი საერთოდ უარყოფს ოღუზის სახის პროტოტიპის არსებობას და ამტკიცებს, რომ ეს სახე წმინდა ფოლკლორულიაო[60].

ასე რომ, ჰყავდა თუ არა ოღუზ ხაკანს ისტორიული პროტოტიპი, ეს ჯერ კიდევ გაურკვეველია, თუმცა ამის გარკვევა ახალს ვერაფერს შემატებდა „ოღუზ-ნამეს“ გმირის სახეს.

როგორც ცნობილია, ეპოსს არ ახასიათებს ერთი რომელიმე კონკრეტული ისტორიული ფაქტისა თუ პიროვნების დახატვა. ეპოსი ამ ფაქტებისა და სახეების განზოგადებას ახდენს საუკუნეების განმავლობაში შემუშავებული ეპიკური ტრადიციის ბაზაზე. რასაკვირველია, ისტორიული პირები თუ ფაქტები ჰკვებავენ ხალხის ფანტაზიას, მაგრამ რთული და ხანგრძლივი შემოქმედებითი პროცესის განმავლობაში იშლება მათი კონკრეტული ნიშნები.

გარდა ამისა, ის ავტორები, რომლებიც ოღუზ ხაკანში მოდე მთავარს ხედავენ, შესადარებლად იყენებენ ე. წ. მუსლიმურ ვერსიას, რომელიც ბევრად უფრო გვიანდელია, ვიდრე ქვემოთმოტანილი უიღურული ვერსია, რომელიც არ იცნობს ოღუზ ხაკანისა და მისი მამის ბრძოლის ეპიზოდს.

ხოლო „მუსლიმური“ ვერსიის ოღუზ ხაკანი რომ საკუთარი ოჯახის წევრების დახოცვით ხელთ იგდებს ძალაუფლებას და თავისი საბრძანებლის საზღვრებსა და ძლიერებას მძარცველური ომების წარმოებით ზრდის, იმდენად ტიპიურია, რომ ძნელი არ არის მასში ჩინგიზ ყაენის, მოდე მთავრის, ალექსანდრე მაკედონელისა თუ სხვათა დანახვა.

---

[57] იქვე, გვ. 270.

[58] მოგვაქვს А. М. Щербак-ის წიგნის მიხედვით „Огуз-наме“, გვ. 92.

[59] А. М. Щербак, Огуз-Наме, стр. 94.

[60] Г. Н. Потанин, Восточные мотивы в средневековом европейском эпосе, Москва, 1925, стр. 596

ასე, რომ ჩვენ სავსებით სარწმუნოდ გვესახება ოღუზ ხაკანის სახის ფოლკლორული წარმომავლობა.

ოღუზ ხაკანის სახეში გვაქვს ეპოსის გმირის ნიშან-თვისებათა მთელი რიგის ტიპიზაცია: იგი არაბუნებრივი ძალით არის დაჯილდოებული, ორმოცი დღისა უკვე მწყემსავს რემას და ნადირობს. მისი ზებუნებრივობა დაბადებისთანავე განსაზღვრულია მისი გარეგნობით — „ცისფერი სახე, წითელი თვალები, ცეცხლისფერი ბაგეები".

ოღუზი თავისი ხალხის მხსნელი და ქომაგია: მან მოკლა საშინელი მარტორქა, რომელიც „მძიმე ტანჯვით ტანჯავდა ხალხს", მან განავრცო საზღვრები თავისი ქვეყნისა, „ბევრი მიწები დაიპყრო, ბევრი ილაშქრა, მტერი ატირა, მოყვარე აცინა".

ოღუზ ხაკანის სახის ფანტასტიკური ჰიპერბოლიზაცია საკმაოდ შორს არის წასული. იგი ცხოველური გარეგნობით არის შემკული, მაგრამ ეს არ არის ანტროპომორფული არსება. ადამიანური ბუნების ნაწილობრივ შემცველი, ისეთი, როგორიც შუამდინარული ეპოსის ენქიდუ, რომლისთვისაც ცხოველური გარეგნობის ატრიბუტები იმის ნიშანია, რომ ამ არსებისათვის უცხოა ადამიანთა საზოგადოება და მისი ცხოვრების წესი[61]. ოღუზის ცხოველური გარეგნობა მისი ზეადამიანურობის დასამტკიცებლად არის მოხმობილი. მის გარეგნობაში გაერთიანებულია რამდენიმე ცხოველის ნიშნები. ეს ცხოველებია ხარი, დათვი, მგელი, სიასამური.

რომ ნათელი იყოს, თუ რატომ მოხდა ამ ცხოველების ნიშან-თვისებათა თავმოყრა ოღუზის სახეში, მოკლედ წარმოვადგენთ მათ ადგილს თურქულ-მონღოლური ტომების რწმენა-წარმოდგენებში.

ხ ა რ ი. ხარის კულტი აღმოსავლეთის თითქმის ყველა ქვეყანაში იყო გავრცელებული, ხარისადმი ლოცვებს აღავლენდნენ თურქი შამანები. ამ ლოცვების ხარი სპილენძის რქებიანია და ოქროს ბალნიანი[62].

მონღოლური ლეგენდებისა და ყირგიზული ეპოსის გმირებს ხარის გარეგნობა აქვთ.

---

[61] გილგამეშის ეპოსი, აქადურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ზ. კიკნაძემ, თბილისი, 1963, გვ. 194—198.

[62] Образцы народной литературы тюркских племен, IX, СПб, 1909, стр. 55. А. Н. Бернштам, Историческая правда в легенде об Огуз Кагане, 85.

ხარის სახელთან არის დაკავშირებული თურქმენთა ტომების ტოტემური სახელწოდებები[63].

ს. პ. ტოლსტოვის გარკვევით, ცენტრალური და შუა აზიის ხალხების გენეალოგიურ მითებში ხარს ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია[64].

დ ა თ ვ ი თაყვანისცემის ობიექტია ცენტრალური და მცირე აზიის ბევრი ხალხისათვის. თითქმის ყველა თურქული ენა დათვს ტაბუს ადებს და მოიხსენებს, როგორც „მამა“, „ბიძა“, „პაპა“ და სხვა[65].

თურქული მოდგმის ბევრ ხალხებში უკანასკნელ დროს ფიქსირებულ მასალებშიც შემორჩენილია დათვი, როგორც წინაპრის კულტი.

დათვისადმი ლოცვებს აღავლენდნენ ციმბირის შამანები. ამ ლოცვებში დათვი „ციდან ეშვება“, „საძირკვლად მდგარია“[66].

ოღუზ-ხაკანს „ბეჭები სიასამურის ბეჭებს მიუგავს“. სიასამურის კულტი დათვის ან ხარის კულტის ოდენად გავრცელებული არ უნდა იყოს. მას ს. პ. ტოლსტოვი თურქული ტომების ტოტემად მიიჩნევს, მაგრამ არ აკონკრეტებს, თუ რომელი ტომის ტოტემია. მის მიერ ჩამოთვლილ ტოტემებს შორის (თურქმენი ტომების ტოტემები) სიასამური არ გვხვდება.

ოღუზ ხაკანის გარეგნობაში თავმოყრილი ცხოველებიდან მგელი თითქმის ყველა თურქული და მონღოლური ტომისათვის საერთო ტოტემია.

მგლის კულტი გასდევს „ოღუზ ნამეს“, როგორ ოღუზ ხაკანის ყველა საქმის სულის ჩამდგმელისა და მონაწილისა.

მ გ ე ლ ი. ოღუზ ხაკანისადმი ღმერთის მიერ მოვლენილი მგელი „ლურჯფაფრიანი, ლურჯბალნიანია“. ეს ატრიბუტი მიუთითებს მგლის ღვთიურ წარმომავლობაზე.

თურქულ, შუააზიურ და მონღოლურ მითოლოგიაში მგელი უწმინდესი ცხოველი იყო ძველთაგან.

---

[63] С. П. Толстов, Происхождение тотемизма и дуальной организации у туркмен: „Проблемы истории докапиталистических обществ“, Москва-Ленинград, 1935, №9—10, стр. 15.

[64] იქვე, გვ. 17.

[65] А. М. Щербак, Названия домашних и диких животных, „Историческое развитие лексики тюркских языков“, Москва, 1961, стр. 130—131.

[66] Образцы народной литературы тюркских племён, IX, стр. 155.

სახელწოდება „მგელი“ VI საუკუნის თურქებისათვის საპატიო ტიტული იყო. ჩინური ქრონიკებისათვის „მგელი“ და თურქთა ხანი სინონიმებია. ამ თვალსაზრისით საინტერესო მაგალითი მოაქვს ლ. გუმილევს: ჩინურ საომარ ინსტრუქციაში ნათქვამია, რომ თურქებზე თავდასხმის შემთხვევაში საჭიროა, გარეკოთ მოლაშქრენი და შეუტიოთ მგლებს ე. ი. ხანებს[67].

ი. ბიჩურინი გვაწვდის ლეგენდას, რომლის თანახმად მგელი ითვლება ერთ-ერთი თურქული ტომის წინაპრად. ლ. გუმილევის გარკვევით ეს ლეგენდა ალთაიში უნდა იყოს შექმნილი. ლეგენდა გადმოგვცემს ჰუნების საგვარეულოს გაჟლეტას მეზობლების მიერ. გადარჩა ერთი ცხრა წლის ბიჭი, რომელიც ხელ-ფეხ დაჭრილი გადააგდეს ჭაობში. აქ მისგან დაორსულდა ძუ მგელი. ბიჭი მაინც მოკლეს მტრებმა, მგელი კი გაიქცა ალთაიში და იქ გააჩინა ცხრა ვაჟი. ასე დაედო სათავე უუჟანების ხანთა დინასტიას[68].

თუ სწორია ლ. ნ. გუმილევის დასკვნა, რომ ეს ლეგენდა შექმნილია იმ მიზნით, რომ გაამართლოს მოსული საგვარეულოს პრივილეგიები ალთაიში, საფიქრებელია, რომ მგლის თაყვანისცემა ამ დროისათვის ყველა თურქული მოდგმის ხალხში საყოველთაო იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში ჟუჟანები მის სახელს არ ამოეფარებოდნენ. მათი ჩამომავალნი — თოქიუს ტომი ყოველ წელიწადს მსხვერპლს სწირავს მგელს[69].

ბაშკირები თავიანთ ეთნიკურ აღმნიშვნელს „ბაშკირ“ მგელს უკავშირებენ. „ბაშ“ — თავი, „კურთ“ — მგელი. დღევანდელ სალიტერატურო თურქულში ასეც იხმარება, „ბაშკურთ“ ნიშნავს ბაშკირს.

მგელს უკავშირდება თელეს ტომის წარმოშობის ლეგენდაც. ჰუნების ერთ-ერთმა შანუიმ თავისი ასული ცას მიუძღვნა, რადგან დედამიწაზე მისი საკადრისი არავინ ეგულებოდა. ცამ მიიღო ძღვენი და მიწაზე გამოგზავნა მგელი, რომელიც შანუის ასულის ქმარი გახდა. ქალმა მგლისაგან შვა ვაჟი, რომელიც თელეს ტომის წინაპარი გახდა[70].

---

[67] Л. Н. Гумилев, Древние тюрки, стр. 23.
[68] Н. Я. Бичурин, Собрание сведений, I, 229.
[69] Л. Н. Гумилев, древние тюрки, стр. 23.
[70] იქვე, გვ. 81.

შამანისტი თურქებისათვის მგელი წმინდა ცხოველია. მგლის გამოსახულება ჰკიდია შამანს გულზე, მგელი ახატია მის დაირასაც. „შამანს შეუძლია მგლად იქცეს, ამრიგად მგელი შამანიცაა“[71].

მონღოლური ლეგენდების თანახმად ჩინგიზ ყაენი მგლის ნაშობია. ოქროსაგან გამოკვეთილ მგლის თავს მონღოლები დროშაზე ამაგრებდნენ, მგლის კბილი კი საფიცრად ჰქონდათ[72].

დღევანდელ თურქულში „მგელი“ ვაჟკაცის სინონიმია. როცა თურქს სურს გაიგოს ვაჟი დაიბადა თუ ქალი, კითხულობს: „მგელი გაჩნდა თუ მელაო“[73]. ამრიგად, მგელი თურქულ-მონღოლური ხალხების წმინდა ცხოველი, როგორც ერთხმად მიჩნეულია, მათი საერთო წინაპარიც იყო[74]. მგელი უმაღლესი ღვთაების — ცის მოციქულია და მის ნების გამომხატველი.

შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ მგელი მოუვლინა ღმერთმა ოღუზ ხაკანს წინამძღვრად. თუ ზემოდასახელებულ მაგალითებში მგელს მუცლით მიჰყავს თურქ ტომთა ბელადები „აღთქმულ მიწაზე“ და სათავეს უდებს ახალ თურქულ დინასტიებს, „ოღუზ-ნამეში“ მგელი წინ მიუძღვის და ისე მიჰყავს თურქები ახალი დაპყრობებისაკენ.

ამრიგად, ოღუზ ხაკანის გარეგნობაში თავმოყრილია თურქულ ტომთა ტოტემური თუ წმინდა ცხოველების ნიშნები. ამ ნიშნების გაერთიანებაში ა. ს. ტოლსტოვმა სქესობრივი ტოტემიზმის გავლენა დაინახა[75].

მართალია, ცოტა ბუნდოვანია, თუ როგორ ასახავს ოთხი ტოტემის გაერთიანება სქესობრივ ტოტემიზმს, მაგრამ „ოღუზ-ნამეში“ რომ სქესობრივი ტოტემიზმი გვაქვს, ნათელია იქიდანაც, რომ ოღუზ ხაკანი ხარია, მისი წინამძღოლი მგელიც ხვადია.

მართალია, ეთნონიმ „ოღუზის“ სიტყვა „ხართან“ დაკავშირება, გვიანდელი ხალხური ეტიმოლოგიაა, მაგრამ, „ოღუზ-ნამეს“ გმირი არა მხოლოდ უკავშირდება ხარს, არამედ ხარია — ტექსტში მის ხატად და სახედ ხარის გამოსახულებაა ჩახატული.

როგორც დავინახეთ, მგელი თურქულ-მონღოლური ტომების უმეტესობისათვის ტოტემური ცხოველია. ოღონდ ზოგისათვის ძუ მგელია, ზოგისათვის — ხვადი.

---

[71] В. А. Гордлевский, Что такое „Босый волк“. „Избранные сочинения“, I. М., 1961, стр. 496.
[72] К. Д' Оссон, История монголов, 1937, стр. 217—235.
[73] В. А. Гордлевский, Что такое „Босый волк“..., стр. 496.
[74] Л. Н. Гумилев, Древние тюрки, стр. 81.
[75] დასახ. ნაშრომი გვ. 41.

სწორედ ამ ნიშნის მიხედვით უპირისპირდებიან ეს ტომები ერთმანეთს[76].

ჩვენი აზრით, ეპონიმი, რომელიც თავის თავში აერთიანებს უმეტესი ტომების ტოტემურ ცხოველებს, არის ამ ტომების ერთიანობის იდეის მხატვრული განსახიერება.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ გაერთიანებაში ძირითადია ხარი, რომელსაც დათვი, მგელი და სიასამური ემატება, როგორც შემადგენელი ნაწილი, შეიძლება ვიფიქროთ, რომ საერთო წინაპრის განზოგადებული სახე მაშინ უნდა დამუშავებულიყო, როცა „ხარის“ ტომების მეთაურობით მოხდა „მგლის“, „დათვის“, „სიასამურისა“ და სხვა ტომების გაერთიანება.

„ოღუზ-ნამე“ შეიცავს ტრადიციულ ეპიკურ ეპიზოდებს, ე. წ. „საერთო ადგილებს“. ასეთია ოღუზ ხაკანის მარტორქაზე ნადირობის სურათი, სადაც დაწვრილებით არის აღწერილი, თუ როგორ წაიყვანა მარტორქამ ჯერ ირემი და შემდეგ დათვი, როგორ გაუპო მას თავი ოღუზმა.

საგანგებოდ არის შექებული ოღუზის იარაღი — მისი შუბი და ისრები.

ოღუზის მტრებს ყოველთვის გამაგრებული ქალაქები აქვთ და „ბევრზე ბევრი ლაშქარი ჰყავთ“, მაგრამ ოღუზი ყოველთვის სძლევს მათ. მისგან დაღვრილი სისხლით „მდინარე წითლად იღებება, როგორც სინგური“.

როგორც აღვნიშნეთ, თურქული მოდგმის ხალხთა საგმირო ეპოსი უხვად შეიცავს მისი შემოქმედი ხალხის უძველეს რწმენა-წარმოდგენებს.

ასეა „ოღუზ ნამეც“, მითუმეტეს, რომ იგი ჯერ კიდევ მაშინ არის ჩაწერილი თუ გადამუშავებული, როცა თურქულენოვანი ხალხების არქაული საგმირო ეპოსი ისევ ინარჩუნებს ზღაპრულ-მითოლოგიურ ნიშნებს და მკვეთრად ვერ ემიჯნება წინამავალ ჟანრებს.

„ოღუზ ნამე“ თურქული ტომების უძველესი პანთეონის სხვადასხვა რანგის ღვთაებათა საინტერესო სურათებს გვთავაზობს. ეს ღვთაებებია ცა, მზე, მთვარე, ვარსკვლავები, მთა, ზღვა.

უმაღლესი ღვთაება არის „Tengri“ („თენგრი“). ეს სიტყვა თურქულ და მონღოლურ ენებში ერთნაირად აღნიშნავს „ღმერთს“

[76] Л. Н. Гумилев. Древние тюрки. стр. 181.

და „ცას“, რაც იმაზე მიუთითებს, რომ უმაღლესი ღვთაება გაღმერთებული ცაა[77]. ის არის უხილავი, არამატერიალური, მისი ფუნქციები ორხონისა და ენისეის წარწერების მიხედვით შემდეგნაირად ჩანს: „თენგრი“ შემოქმედია, მფარველია, განაგებს ადამიანთა ბედ-იღბალს, დამსჯელია[78]. დ. ბანზაროვი მას უპირისპირებს „ცისფერ ცას“, როგორც ხილულს, რეალურს რომელსაც აგრეთვე თაყვანს სცემენ თურქულ-მონღოლური ტომები, მაგრამ, რომელიც უზენაესი ღვთაება არ არის[79].

„თენგრის“ ატრიბუტია ლურჯი სხივი, მისი მოციქული, მისი ღვთაებრივი ნებისა და ძალის გამომვლინება.

ციდან ჩამოსულ ლურჯ სხივს განაყოფიერების ძალა შესწევს — ბოდონცარი, მონღოლთა მითიური წინაპარი ჩაისახა ციდან ჩამოსული ლურჯი სხივით, რომელიც მის დედას დაეცა.

„თენგრი“ სამყაროს მამაკაცური საწყისია, მიწა კი — ქალური.

შაჰირ ულქუთაშირის ზემოთ დასახელებულ შრომაში მოტანილია ერთი ლეგენდა: დოქუზ ოღუზების ქვეყანაში ერთი მდინარის ნაპირზე ორი ხე იდგა. ღამე ციდან სხივი ჩამოეშვა, ერთ ხეს დაეცა. ცხრა თვის შემდეგ ხე გაიბერა, გაიხსნა და ხუთი ვაჟი შვა[80].

ცას უკავშირდება ლურჯი ფერი, ცისფერი. იგი ღვთიურობის სიმბოლოა. მათი ღვთიურობის დასტურად ოღუზ ხაკანს სახე ცისფერი აქვს, ხვად მგელს კი ბალანი და ფაფარი — ლურჯი.

ოღუზ ხაკანის პირველი, ღვთაებრივი ცოლის შვილების სახელები უმაღლესი პანთეონიდან არის აღებული:

„მ ზ ე“, „მ თ ვ ა რ ე“, „ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ე ბ ი“ ყოველი ხალხის პირველყოფილ რელიგიაში თაყვანისცემის ობიექტი იყო. მათ შორის მზე უპირველესია. თურქული ტომები ყოველ დილით მოწიწებით ესალმებოდნენ მზეს. „მზის ამოსვლის მხარეს“ თაყვანს სცემდნენ თურქული და მონღოლური ტომები. მზე მამაკაცური საწყისია, მთვარე ქალური[81]. თურქები და მონღოლები ცის სხეულებს მსხვერპლს სწირავდნენ, რძესა და კუმისს მიართმევდნენ ხოლმე[82].

---

[77] И. В. Стеблева. К реконструкции древнетюркской религиозно-мифологической системы, стр. 224.

[78] იქვე.

[79] Д. Банзаров. Черная вера или шаманство у монголов. СПб. 1891, стр. 35.

[80] Şakir Ulkülaşir. Türk Halk bilgisine ait., გვ. 6.

[81] Д. Банзаров. Черная вера или шаманство у монголов. стр. 162.

[82] Л. Я. Штернберг. Первобытная религия в свете этнографии. Ленинград. 1936, стр. 500.

მაგრამ სხვა ხალხთა სოლარული კულტურისაგან განსხვავებით თურქული და მონღოლური ხალხებისათვის მზე, მთვარე და ვარსკვლავები მხოლოდ უმაღლესი „თენგრის“ ატრიბუტებია[83]

ოღუზის მიწიერი შვილების სახელები, როგორც აღვნიშნეთ, მიწიერი სამყაროდან არის აღებული. ეს არის „ც ა“, „მ თ ა“, „ზ ღ ვ ა“. მხოლოდ ამ შემთხვევაში ცის აღსანიშნავად ტექსტში ნახმარია სიტყვა „kök (ქოქ), რაც ჩვენის აზრით, იმაზე მიუთითებს, რომ იგულისხმება არა ცა უმაღლესი ღვთაება, არა „თენგრი“, არამედ ცა, როგორც ხილული და რეალური მატერიალური ერთეული, ისევთივე, როგორც მთა და ზღვა. თუმცა ეს ცაც, ეს მთაც და ზღვაც თაყვანისცემის ობიექტია, როგორც შედარებით დაბალი ღვთაება, რომელიც უკავშირდება თურქული მოდგმის ტომების ღვთაებათა იმ კატეგორიას, რომელსაც yer-su „მიწა-წყლის ღმერთი“ ჰქვია და რომელშიც შედის მთები, ზღვები, მდინარეები, ტყეები და სხვა.

ფიქრობენ, რომ მიწა-წყლის ღვთაებათა თაყვანისცემა შამანიზმზე უძველესია და შემდეგ შევიდა შამანურ რელიგიურ ტრადიციაში[84].

მ თ ი ს კულტი ცნობილია მსოფლიოს ხალხთა პირველყოფილი რელიგიებისათვის. ამ მოვლენის საფუძველი ანიმიზმია. თავისი უზარმაზარი გარეგნობის წყალობით მთა პირველყოფილ ადამიანებში იწვევდა წარმოდგენას მასში მცხოვრები ძლიერი სულების შესახებ.

ცნობილია არა ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ სწირავენ პრიმიტული ადამიანები მსხვერპლს მაღალ მთებს, როგორც კი მასზე ავლენ[85].

განსაკუთრებით გაძლიერდა მთის კულტი მიწათმოქმედებასთან დაკავშირებით, როცა მთას დაუკავშირდა წვიმის კულტი[86].

მთის კულტი პირველყოფილი რელიგიის პანთეონიდან გადავიდა მაღალი კულტურის რელიგიაში და მთა ღვთაება იქცა ღმერთების სამყოფელად. ასეთია ოლიმპი ბერძნულ მითოლოგიაში და ჰიმალაი—ინდურში.

მთელ რიგ თურქული მოდგმის ხალხებს შემოუნახავს მაღალი მთებისადმი თაყვანისცემა. ლ. პ. პოტაპოვმა აღწერა თანამედროვე

---

[83] Л. Н. Гумилев, Древние тюрки, стр. 182.

[84] И. В. Стеблева, К реконструкции.., стр. 216.

[85] Л. Я. Штернберг. Первобытная религия.., стр. 297.

[86] იქვე.

თუვების რიტუალი „მთის ლოცვა“, სადაც ყველა გვარს თავისი სათაყვანებელი მთა აქვს, სადაც აგებენ რიტუალური დანიშნულების ქოხს, „მთის სულს“ საგანგებოდ ნასუქ ხარს სწირავენ და ლოცვებით მიმართავენ[87].

თურქ მეცნიერს აბდულკადირ ინანს თავის შრომაში „Tarihte ve Bugün Şamanizm“ მრავალი ცნობა მოაქვს თურქული ტომების „წმინდა მთების შესახებ[88].

ალთაელი შამანები თავიანთ ლოცვებსა თუ შელოცვებში მიმართავენ მაღალ მთა თანუს, როგორც ყოველისშემძლე ძალას.

ჩვენს ხელთ არსებული მასალა საშუალებას არ გვაძლევს, გავარკვიოთ, თუ რა ადგილი ეკავა ზღვას თურქ ტომთა რწმენებში. ერთია: ის „მიწა-წყლის ღვთაებათა“ კატეგორიას განეკუთვნება.

„ოღუზ ნამეში“ დაცულ რიტუალებს შორის, რომელიც შამანიზმს უნდა უკავშირდებოდეს, განვიხილავთ შემდეგს:

ოღუზმა პურობა გამართა და თავისი კარვის მარჯვენა და მარცხენა მხარეს ორმოც-ორმოცი წყართა ხის სვეტები დაადგმევინა. მარჯვენა სვეტზე ოქროს ჭათამი შემოდგეს, მარცხენაზე — ვერცხლისა, მარჯვენა სვეტის ძირში თეთრი ცხვარი გამოაბეს, მარცხენის ძირში — შავი.

ამ ეპიზოდს გაკვრით შეეხო ა. მ. შჩერბაკი და დაუკავშირა შამანების რიტუალს, მაგრამ არ აღუნიშნავს, კერძოდ, რა რიტუალთან აჩენს სიახლოვეს იგი[89].

ამ საკითხის გასარკვევად ძალზე საინტერესო ცნობას გვაწვდის ლ. შტერნბერგი: სიცოცხლის ხე, რომელიც გავრცელებულია მთელი მსოფლიოს ხალხთა შორის, და რომელსაც ასახვა უპოვია ამ ხალხთა მატერიალურ კულტურაში, დიდი პოპულარობით სარგებლობს თურქი შამანების რიტუალში.

თურქი შამანების რწმენით არსებობს სამი სიცოცხლის ხე: ერთი ცაში — მასზედ ცხოვრობენ სულები ვიდრე დედამიწას მოევლინებოდნენ, მეორე — მიწისქვეშა სამყაროში, სადაც მიწისქვეშა სამყაროს სულები ბინადრობენ და მესამე — დედამიწაზე.

თურქი შამანების წარმოდგენაში სიცოცხლის ხე უმეტესად არყის ხის სახით გვევლინება. არყის ხეზე დაიბადა პირველი შამანი,

---

[87] А. П. Потапов, Культ гор на Алтае, СЭ, №1, 1949, стр. 55.

[88] Abdülkadir Inan, Tarihte ve Bugün Şamanizm, სტამბოლი, 1953, გვ. 155.

[89] А. М. Щербак, Огуз-наме ..., стр. 89.

არყის ხისაგან იყო გამოთლილი მისი აკვანი; არყის ხე მაღალია და ყველაზე ახლოს მიდის მზესთან. ამიტომ ის შამანისათვის მზემდე მისასვლელი კიბეა[90].

მოგვიანო ეტაპზე სიცოცხლის ხემ ტრანსფორმაცია განიცადა და იგი იქცა საგანგებო დანიშნულებისათვის აღმართულ სვეტად, რომელსაც ზედ საფეხურებად ჯოხები ჰქონდა მიკრული.

შამანად კურთხევის დროს მომავალი შამანი ასეთ ხეზე უნდა ასულიყო.

ციმბირის თურქული ტომების შამანები საგანგებოდ აღმართული ხის||სვეტის წინ ასრულებენ თავიანთ რიტუალს. სვეტს 16 საფეხური აქვს. ეს საფეხურები სიმბოლური გამოხატვაა ცის 16 „ქათ"-ისა(თექვსმეტი ფენისა). აქ აუცილებელი არ არის შამანის სეზე ასვლა, მაგრამ აუცილებელია ხის||სვეტის წინ შესრულება ლოცვისა, რადგან ხის||სვეტის საშუალებით ცაში ადის არა მხოლოდ შამანი, არამედ მის მიერ წარმოთქმული ლოცვებიც.

ჩვენთვის საინტერესოა სიცოცხლის ხესთან დაკავშირებული მეორე დეტალიც:

იაკუტი და ციმბირელი შამანები სიცოცხლის ხის თავზე დგამენ ფრინველის გამოსახულებას, უმეტესად არწივისას.

იმიერბაიკალის ტომებში არწივს იხვი ცვლის[91]. ამ შემთხვევებში ფრინველი უნდა მივიჩნიოთ შუამავლად, მოციქულად დედამიწასა და ცას შორის.

ცხადია, შამანების რიტუალს უკავშირდება „ოლუზ-ნამეს" სვეტები და მათ თავზე შემოდგმული ქათმის გამოსახულებები. მაგრამ ვინაიდან მარჯვენა სვეტი მარჯვენა ფრთას განეკუთვნება, მარჯვენა ფრთა კი უფროსი შვილების მხარეა, მის თავზე ოქროს ქათამი დადგეს, უმცროსი შვილების მხარეს — ვერცხლის ქათამი დადგეს[92].

ამ წესის მოგვიანო გამოძახილი უნდა იყოს აბულ-ღაზის ზემოდასახელებულ შრომაში აღწერილი ყურულთაი, სადაც სვეტზე შემოდგმული ოქროსა და ვერცხლის ქათმები უკვე სამიზნედ ქცე-

---

[90] Л. Я. Штернберг, Первобытная религия в свете этнографии, стр. 123—124.

[91] იქვე, გვ. 123.

[92] უფროსი ძმების უპირატესობის შესახებ იხ. აბულ-ღაზის „თურქმენთა გენიალოგია", ა. ნ. კონონოვის ზემოთ დასახელებული შრომა, გვ. 49.

ულა. — ოქროს ქათამს ბუზუქები სტყორცნიან ისრებს, ვერცხლისას — უჩუქები[93].

რაც შეეხება სვეტების ძირში თეთრი და შავი ცხვრების მიბმას, ამ მოტივში ა. მ. შჩერბაკი თეთრი და შავი შამანიზმის დაპირისპირებას ხედავს[94].

როგორც ცნობილია, თეთრი შამანები კეთილი ღვთაების მსახურნი არიან, შავი შამანები კი მიწისქვეშა სამყაროს ბოროტ ძალებს ემსახურებიან. ასეთია ალთაური პანთეონის ერლიქი და ძველი თურქული „სამკითხაო წიგნის“ „შავი ბედის ღმერთი“. მათთან მისასვლელად შამანმა შავი გზა უნდა გაიაროს[95].

შამანურ რიტუალში უკანასკნელ დრომდე შემორჩენილა ღმერთებისათვის მსხვერპლად შავთავიანი თეთრი ბატკნის შეწირვა[96].

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს რიტუალი უფრო ძველი რიტუალის გადმონაშთია. ალბათ, ორ ცხვარს სწირავდნენ ღმერთებს— თეთრს — კეთილ ღმერთს და შავს — მიწისქვეშა სამყაროს ბოროტ ღვთაებას. შემდეგ ამ ორი ცხვრის გაერთიანებით მივიღეთ ერთი სამსხვერპლო ცხოველი ორი ნიშნით — თეთრი და შავი ფერით.

„ოღუზ ხაგანის“ ფერთა სიმბოლიკაც, როგორც დავინახეთ, თურქული ტომების უძველეს წარმოდგენებს უკავშირდება. გარდა ზემოთ მოტანილი ლურჯი, თეთრი და შავი ფერებისა, მასში ვხვდებით ცეცხლის ფერსა და წითელს.

ოღუზ ხაკანს „პირი ცეცხლივით წითელი ჰქონდა, თვალები წითელი ჰქონდა“,

ცეცხლის ფერი გრძნეულობის სიმბოლოა თურქულენოვან ხალხთა მითოლოგიაში. ამის საფუძველი ცეცხლისადმი თაყვანისცემაა. თურქული ტომები ცეცხლს ოჯახის სიწმინდისა და ძლიერების სიმბოლოდ მიიჩნევდნენ და ყოველ დილით მსხვერპლს სწირავდნენ. შამანები ლოცვით მიმართავდნენ ცეცხლს: „ოცდაათ კბილიანო ჩემო დედავ, ორმოც კბილიანო, დედამთილო ჩემო, ცეცხლო, მთელ დღეს რომ ჩვენთვის შრომობ, წუყდიად ღამეში კი ბოროტი სულებისაგან რომ გვიცავ ჩვენ“[97].

---

[93] А. Н. Кононов, Родословная тюркмен, стр. 50.

[94] А. М. Щербак, Огуз-наме, стр. 89.

[95] И. В. Стеблева, К реконструкции . ... стр. 220.

[96] Л. П. Потапов, К изучению шаманизма у народов Саяно-Алтайского нагорья, „ Филология и история монгольских народов“, М., 1958. стр. 319.

[97] A. Inan, Tarihle ve Bugün Şamanizm, გვ. 55.

მაგრამ თურქული ტომების ცეცხლისადმი თაყვანისცემა იმავე საფუძველს ემყარება, რასაც ყველა ხალხის პირველყოფილ რელიგიაში ემყარება ცეცხლის კულტი და მას არა აქვს რა საერთო ზოროასტრიზმთან, რომლისთვისაც ცეცხლი თაყვანისცემის ობიექტია და არა მაგიური ინსტრუმენტი[98].

წითელი ფერი სიცოცხლის ფერია, სულის ფერია, ვინაიდან იგი სისხლის ფერია. სისხლი კი სიცოცხლის სიმბოლოა[99].

ჩამოთვლილი მაგალითები, რომლებიც მიუთითებს თურქული ტომების უძველესი რწმენა-წარმოდგენებისა და „ოღუზ ნამეს" ურთიერთ კავშირზე, ძირითადად ტექსტის დასაწყისსა და დასასრულშია თავმოყრილი. შუა ნაწილი კი, რომელშიც ოღუზის ბრძოლებია აღწერილი, ისეთი თანმიმდევრობითა და სიზუსტით ხატავს ბრძოლის ამბებსა და დაბურობილ ჭვეყნებს, რომ საბუთს აძლევს მეცნიერებს, იფიქრონ, მათ საფუძვლად სინამდვილეში მომხდარი ფაქტები უდევსო[100].

რეალისტური და ფანტასტიკური მოტივების ურთიერთ მიმართება „ოღუზ ნამეს" კომპოზიციურად ორ ნაწილად წარმოგვიდგენს: პირველი ნაწილი — ოღუზის დაბადების, მარტორქის მოკვლისა და ცოლების ამბავი, უნდა იყოს უძველესი ფენა ეპოსში, რომელზედაც შემდეგ დაეფინა მეორე ნაწილი — ლეგენდარული წინაპრის ცხოვრებისა და ბრძოლების ამბები. გამორიცხული არ არის, რომ ამ ამბებში მოგვიანებით ჩინგიზ ყაენის დაპყრობებიც ჩართულიყო[101].

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შემდეგ დავასკვნით:

„ოღუზ ნამე" თურქულენოვანი ხალხების არქაული საგმირო ეპოსია, რომელიც შედეგია მათი ცხოვრების იმ პერიოდისა, „როცა თურქულენოვანი ტომები მიუახლოვდნენ ფეოდალური სახელმწიფოს შექმნის პროცესს, მაგრამ სპეციფიკური ისტორიული პირობების გამო, მძლავრ ტომობრივ კავშირზე მეტად ვეღარ ამაღლდნენ[201]. იგი მონღოლებამდელი პერიოდის ვითარებას ასახავს. მასში ასახულია თურქული მოდგმის ტომების გაერთიანების იდეა.

---

[98] Л. Н. Гумилев, Древние тюрки, стр. 86.

[99] Л. Я. Штернберг, Первобытная религия, стр. 125.

[100] А. М. Щербак, Огуз-Наме..., стр. 100.

[101] იქვე.

[102] Е. М. Мелетинский, Происхождение героического эпоса, стр. 251.

„ოღუზ ნამე“ შამანისტ თურქთა წრეშია შექმნილი[103], მაგრამ მასში თურქული მოდგმის ხალხთა ისეთი რწმენა-წარმოდგენებიც ჩანს, რომელნიც შამანურ რელიგიაში არ შესულა და მის პარალელურად განაგრძობდნენ არსებობას. (მაგ., ცის, როგორც უმაღლესი ღვთაების კულტი).

„ოღუზ ნამეს“ უიღურული ვერსიის ტექსტი, შეიძლება ითქვას, საბოლოოდ დადგენილია ისეთი ავტორიტეტული მეცნიერების ღვაწლის შედეგად როგორებიც იყვნენ ვ. ვ. რადილოვი, ვ. ბანგი, გ. რაჰმეთი, პ. პელიო, რიზა ნური, ა. მ. შჩერბაკი. ამიტომ მისი ყოველი ახალი გამოცემა, როგორც ა. მ. შჩერბაკიც წერს, „გამორიცხავს ტექსტის ახლებურად წაკითხვისა თუ გააზრების შესაძლებლობას“[104].

ჩვენს მიერ უიღურული ტექსტის ერთხელ კიდევ გამოცემას იმით ვამართლებთ, რომ ყველა წინამავალ გამოცემებში ტექსტი ისეევა დალაგებული, როგორც ხელნაწერში — ერთი მეორეზე მიყოლებით დაწერილი ცხრა სტრიქონი ყოველ გვერდზე — სულ 376 სტრიქონით. მათგან 6 სტრიქონი დეფექტურია. ჩვენ კი შევეცადეთ, ისე დაგველაგებია ტექსტი, რომ შეძლებისდაგვარად ხელშესახებად გამოჩენილიყო მისი სტრუქტურა.

წარმოდგენილ უიღრულ ტექსტს საფუძვლად უდევს იგივე გამოცემები, რომლის მიხედვითაც შესრულებულია ჩვენი თარგმანი: (იხ. წინამდებარე ნაშრომის 4 გვერდი).

ა. მ. შჩერბაკის მიერ გამოყენებულ ტრანსკრიბციას, რომელიც უფრო ზუსტად ასახავს ტექსტის ფონეტიკურ მხარეს, მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკური მიზეზების გამო ვამჯობინებთ თურქული გამოცემის ტრანსკრიბცია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თურქულენოვანი ხალხების ეპიკური ტრადიციისათვის ძირითადი დამახასიათებელი ფორმაა ლექსნარევი პროზა. მთლიანად გალექსილი ეპიკური ტილოები შედარებით იშვიათად გვხვდება.

პროზაული ნაწილი ზოგჯერ რიტმიანია. პოეტური კი წარმოადგენს ან ტირადებს, ან შვიდ, რვა, თერთმეტ მარცვლიან ოთხსტრიქონიან ლექსებს. ,

საერთოდ, თურქულენოვანი ხალხების პოეზიისათვის, ვიდრე იგი არაბულ-სპარსული პოეზიის გავლენის ქვეშ მოექცეოდა, ძი-

---

[103] P. Pelliot. Sur la légende... გვ. 348—349.

[104] А. М. Щербак. Огуз-Наме... стр. 14.

რითად ნიშნებად გამოჰყოფენ სილაბურ-ტონურ მეტრიკას, ალიტერაციას, რითმას და ლექსის სტროფულ სტრუქტურას[105].

ამათგან ძირითად კომპოზიციურ რიტმულ საშუალებად მიჩნეულია ალიტერაცია და რითმა.

ვ. ვ. რადლოვი თურქულ ლექსში ალიტერაციად მიიჩნევდა თანხმოვანთა სრულ ან ნაწარმოებრივ მსგავსებას სიტყვის ნებისმიერ ნაწილში. თ. კოვალსკი და ა. მ. შჩერბაკი თურქული ლექსის ალიტერაციას ხედავენ ბგერათა ან მარცვალთა ზუსტ ან მიახლოებით მსგავსებაში, რომელსაც ადგილი აქვს სალექსო სტრიქონის დასაწყის სიტყვებში[106].

ალიტერაციის არქაული სახეა, როცა სალექსო სტრიქონის თავში მეორდება მთელი სიტყვა.

ორხონისა და ენისეის წარწერების პოეტური სტრუქტურის ანალიზის საფუძველზე ი. ვ. სტებლევა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თურქულ ლექსში სილაბურ-ტონურობა მოგვიანო მოვლენაა. მისი არქაული რიტმული სტრუქტურა ტონურ-ტემპორალური იყო[107].

„ოღუზ ნამეს" პოეტური სტრუქტურა ნაკლებად არის შესწავლილი. ა. მ. შჩერბაკი მას „პოეტურ პროზას" უწოდებს. თუმცა ამ „პროზიდან" რამდენიმე ლექსს გამოჰყოფს და განიხილავს სტატიაში, რომელიც ზოგადად თურქული ვერსიფიკაციის საკითხებისადმია მიძღვნილი[108].

ცამეტმარცვლიანი ოთხსტრიქონიანი ლექსი გამოყოფილია ზემოთ დასახელებულ ყველა გამოცემაში.

„ოღუზ ნამეში" სხვა ლექსებიც შენიშნეს რიზა ნურმა და პ. პელიომ. თუმცა პ. პელიომ იგი სპარსული პოეზიის გავლენად მიიჩნია[109].

---

[105] T. Kovalski, Ze studjow nad forma poezii ludow. tureckich, კრაკოვი, 1921.

Ф. Е. Корш, Древнейший народный стих турецких племен, ЗВОРАО, XIX, 1909.

[106] А. М. Щербак, Соотношение аллитерации и рифмы в тюркском стихосложении, „Народы Азии и Африки", 1961, №2, стр. 143.

ა. მ. შჩერბაკის ამავე სტატიის მიხედვით მოგვაქვს ვ. ვ. რადლოვის აზრი თურქული ლექსის სტრუქტურაზე.

[107] И. В. Стеблева, Поэзия тюрков V-VII веков, Москва, 1965, стр. 26.

[108] А. М. Щербак, Соотношение аллитерации и рифмы..., стр. 153.

[109] P. Pelliot, Sur la legende d'Uxuz-Khan, გვ. 150.

„ოღუზ ნამეში“ თურქული არქაული ლექსისათვის დამახასიათებელი ნიშნები გვაქვს. ეს ნიშნები სხვადასხვა სიძლიერით იჩენს თავს ტექსტის მანძილზე.

ალიტერაცია და რითმა თურქულ ლექსში ემყარება თურქული ენის ისეთ სპეციფიკას, როგორიცაა გამეორება და პარალელიზმი. რაც შემდეგში გამოიხატება: ფრაზა უცვლელად ან მცირეოდენი ცვლილებით იმეორებს წინამავალ ფრაზას. ეს კი ქმნის ორ რიგს, სიმეტრიულ წყობას, რომელთაც აქვთ მეტ-ნაკლებად თანაბარი მარცვლები და ანალოგიური გრამატიკული ფორმა, რაც იწვევს თურქული ლექსის სტრიქონების დასაწყისი სიტყვების იგივეობას და ბოლოში გრამატიკული რითმების არსებობას.

„ოღუზ ნამეში“ ასეთი ამებური პრინციპით გამართული ადგილები გვაქვს. შედარებით იშვიათია ალიტერაცია. რითმა უმეტესად პრიმიტიული, ზმნური რითმებია. თითო-ოროლა შემთხვევა გვაქვს შედარებით განვითარებული რითმისა, როცა მას ქმნის არა ერთი და იგივე გრამატიკული დაბოლოება, არამედ მსგავსი ელერადობის სიტყვები.

ჩვენ მთელი ტექსტიდან გამოვყავით და ისე დავწერეთ ალიტერაციით თუ მარტივი რითმით გაწყობილი ნაწილები, მაგრამ „ოღუზ ნამე“ ყოველთვის როდი იძლევა ასეთი გამოყოფის შესაძლებლობას. ზოგ შემთხვევაში საერთოდ არ ჩანს ლექსის კომპონენტი. ასეთი ადგილები არ გამოგვიყვია და ერთ სტრიქონში ჩავწერეთ, თუმცა ვფიქრობთ, რომ ისიც ორგანული ნაწილია „ოღუზ ნამეს“ ლექსისა, რომელიც ნათელ სურათს იძლევა თურქულენოვანი ხალხების პირველყოფილი, პრიმიტიული ლექსისას, როცა ეს ლექსი ჯერ კიდევ მთლიანად დამოკიდებული მის თანმხლებ მელოდიაზე და არ არის იქამდე ამაღლებული, რომ თავიდან ბოლომდე ერთი პრინციპით გაიწყოს, როცა რითმათა და ზომათა სიჭრელე ბუნებრივია.

...bölsungıl tep tediler. Anung angagusu oşbu turur: ...Takı mundın song sevinç tapdılar. Kene künlerdin bir kün Ay kagannung közü yarıp bodadı, irkek ogul togurdı.
Oşul ogulnung önglüki çırağı kök irdi,
ağızı ataş kızıl irdi,
közleri al, saçları, kaşları kara irdiler irdi.
Yakşı nepsikilerdin körüklügrek irdi.
Oşul ogul anasınıng kögüzündün oguznı içip, mundın artıkrak içmedi, yig et, aş, sürme tiledi, tili kile başladı. Kırık kündin song bedükledi, yüridi, oynadı.
Adakı ud adakı teg,
billeri böri billeri teg,
yagrı kiş yagrı teg,
kögüzü adug kögüzü teg irdi.
Bedeninüng kamagı tük tülüklüg irdi,
yılkılar küteye turur irdi,
atlarka mine turur irdi,
kik av avlaya turur irdi.
Künlerdin song, keçelerdin song igit boldı.
Bu çakda bu yirde bir ulug orman bar irdi,
köp mürenler, köp ögüzler bar irdi.
bunda kilgenler kik köp köp,
bunda uçkanlar kuş köp köp irdi.
Oşul orman içinde bedük bir kıyandkat bar irdi.
yılkılarnı, yil künlerni yir irdi
bedük yaman bir kik irdi.
birke emgek birle il künni basup irdi.
Oguz Kagan bir iriz kakız kişi irdi,
bu kıyandkatnı avlamak tiledi. Künlerde bir kün avga çıkdı. Cıda birle, ya ok birle, takı kılıç birle, kalkan birle atladı. Bir bugu aldı, şol bugunı dalnug çubukı birle ıgaçka bagladı, kitdi. Andın song irte boldı, tang irte çakda keldi.

Kördi, kim: kıyandkat bugunı alıp durur. Kine bir adug aldı, altunlug bilbagı birle yıgaçka bagladı. kitdı. Mundun song irte boldı, tang irte çakda kildi, kördi, kim: kıyandkat adugnı alıp turur.

Kene oşu ıgaçnıng tübinde turdı,
kıyandkat kelip başı birle Oguz kalkanın urdı.
Oguz cıda birle kıyandkatnıng başın urdı,
anı öltürdi, kılıç birle başın kesdi, aldı kitdi.

Kene kelip kördi, kim bir şungkar kıyandkat içegüsin yimekde turur. Ya birle, ok birle şungkarnı öltürdi, başın kesdi. Andın song tedi, kim: şungkarnung angagusı oşbu turur:

bugu yidi, adug yidi,
cıdam öltürdi, temür bolsa,
kıyandkatnı şungkar yidi,
ya okum öltürdi, yez bolsa,
tep tedi, kitdi.

Takı kıyandkatnıng angugusu oşbu turur: ...Kene künlerde bir kün Oguz Kagan bir yirde tengrini çalbarguda irdi, karangguluk keldi, kökdün bir kök yaruk tüşdi,
kündün ay aydın kogulgulugrak irdi.

Oguz Kagan yürüdi, kördi, kim: oşbu yaruknung arasında bir kız bar irdi, yalgut olturur irdi, yakşı körüklüg bir kız irdı.

anung başında ataşlug yaruklug bir mengi bar irdi,
altun kazuk teg irdi,
oşul kız antag körüklüg irdi, kim:
külse, kök tengrı küle turur,
ıglasa, kök tengrı ıglaya turur.
Ogur Kagan anı kördükte usı kalmadı,
kitdi, sevdi, aldı,
anung birle yatdı,
tilegüsin aldı.
Töl bogaz boldı.

Künlerdin song, keçelerdın song yarudı, üç irkek ogulnı togurdı.

Birinçisige Kün at koydılar,
ikinçisige Ay at koydılar,

üçünçüsüge Yultuz at koydılar.
Kene bir kün Oguz kagan avga kitdi. Bir köl arasında alındın bir ıgaç kördi. Bu ıgaçnung kabuçakında bir kız bar irdi, çalguz olturur irdi. Yakşı körüklüg bir kız irdi.
Anung közü kökdün kökrek irdi,
anung saçı müren osugı teg,
anung tişi ünçü teg irdi.
antag körüklüg irdi kim, yirning yil küni anı körse, ay, ay ah ah ölerbiz, tep sütdin kumuz bola tururlar. Oguz Kagan anı kördüktde usı kitdi, çürekige ataş tüşdi;
ani sevdi, aldı.
anung birle yatdı,
tilegüsün aldı.
Töl bogaz boldı.
Künlerdin song, keçelerdin song yarudı, üç irkek ogulnı togurdı.
Birinçisige Kök at koydılar,
ikinçisige Tag at koydılar,
üçünçüsüge Tengiz at koydılar.
Andın song Oguz Kagan bedük toy birdi, il künge çarlıg çarlap kingeşdiler, keldiler, kırık şire, kırık bandeng çarpturdı, türlüg aşlar, türlüg sürmeler, çubuyanlar, kımızlar aşadılar, içdiler. Toydın song Oguz Kagan beglerge il künlerge çarlıg birdi, takı dedi kim:
men sinlerge boldum kagan,
alalıng ya takı kalkan,
tamga bizge bolsun buyan,
kök böri bolsungıl uran,
temür çıdalar bol orman,
av yirde yürüsün kulan,
takı taluy, takı müren,
kün tug bolgıl, kök kurıkan,
tep tedi.
Kene andın song Oguz Kagan tört sarıga carlıg cumşadı. Biltürgülük bitidi, ilçilerige birip yiberdi. Uşbu biltürgülükde bitilmiş irdi, kim: „men Uygurning kaganı bola men„ kim yirning tört bulungınung kaganı bolsam kerek turur„

Sinlerdin baş çalunguluk tilep men turur. Oşul, kim mening agızumga bakar turur bolsa, tarıtıg tartıp dost tutar men, tep tedi. Uşbu, kim agızumga bakmaz turur bolsa, çımad çakıp, çerig çekip, duşman tutar men, tagurak basıp, asturıp, yok bolsungıl tep kılur men", tep tedi.

Kene bu çakda ong çangakda Altun Kagan tegen bir kagan bar irdi. Oşbu Altun Kagan Oguz Kaganga ilçi yumşap yiberdi.

Köp telim altun kümüş tartıp,
köp telim kız yakut taş alıp,
köp telim erdiniler yiberip yumşap,
Oguz Kagana soyurkap birdi,
agızıga bakındı, yakşı bigü birle dostluk kıldi.
anung birle amırak boldı.

Çong çangakıda Urum tegen bir kagan bar irdi. Oşbu kagannung çerigı köp köp, balıkları kōp köp irdiler irdi. Oşul Urum Kagan Oguz Kagannung çarlıgın saklamaz irdi. Kadaglagu barmaz irdi. Muni söz sözni tutmaz men turur men, tep yarlıgka bakmadı. Oguz Kagan çımad atup, anga atlagu tiledi. Çerig birle atlap, tuglarnı tutup kitdi.

Kırık kündün song Muz tay tegen tagnung adakıga keldı. Kurıkanın tüşkürdi, şük bolup uyup turdı. Çang irte boldukda Oguz Kagannung kurıkanıga kün teg bir çaruk kirdi. Ol çarukdun kök tülüklüg, kök çallug bedük bir irkek böri çıktı. Oşul böri Oguz Kaganga söz birip turur irdi. Takı tedı kım:

ay ay, Oguz, Urum üstige sen atlar bola sen,
ay ay, Oguz, tapukunglarga men yürür bola men,
tep tedi.

Kene andın song Oguz Kagan kurıkannı türtürdi, kitdi. Kördi, kim: çerigning tapuklarıda kök tülüklüg, kök çallug bedük bir irkek böri yürügüde turur. Ol börining artların kadaglap yürügüde turur irdiler irdi.

Bir neçe künlerdin song kök tülüklüg, kök çallug bu bedük irkek böri turup turdı. Oguz takı çerig birle turup turdı. Munda Itil müren tegen bir talay bar irdi. Itil mürenning

kudugıda bir kara tag tapıkıda uruşgu tutuldı. Ok birle, cıda birle, kılıç birle uruşdılar.
Çeriglerning aralarıda köp telim boldı uruşgu,
il künlerning köngülleride köp telim boldı kaygu.
Tutulunç, uruşunç antag yaman boldi kim, Itil mürenüng sugı kıp kızıl, sip singgir teg boldı.
Oguz Kagan başdı,
Urum Kagan kaçdı,
Oguz Kagan Urum Kagannung kaganlukın aldı,
il künin aldı.
Ordusıga köp ulug ölüg bargu, köp telim tirig bargu tusu boldi. Urum Kagannung bir karundaşı bar irdi, Uruz Beg tegen irdi. Ol Uruz Beg ogulun tag başıda tering müren arasıda yakşı berik balukka yumşadi, takı tedi kim: „balukni kadaglagu kerek turur, sen takı uruşgulardın song bilukni bizge saklap kelgil" tep tedi.
Oguz Kagan oşul balukka atladı, Uruz Begning ogulı anga köp altun könüş yiberdi, taki tedi, kim:
„ay, menning kaganum sen, menge atam bu balukni birip tutur, taki tedi kim: balukni kadaglagu kerek turur. sen takı uruşgulardın song balukni benge saklap kelgil, tep tedi. Atam çımad atup irse, menüng tapum irürmü. Sendin carlug baglug bellüg bola men. Bizning kutıbız senning kutung bolmuş, bizning urugıbız senning ıgaçungnung urugı bolmuş bolup turur, tengri senge yir birlp buçurmuş bolup turur, men senge başumnı kutumnı bire men. Bigü birip, dostluktın çıkmaz turur men," tep tedi. Oguz Kagan igitning sözün yakşı kördi, sivindi, küldi. Takı aytdı, kim: „menge köp altun yumşap sen, balukni yakşı saklap sen," tep tedi. Anung üçün anga Saklap at koydı, dostluk kıldı. Kene çerig birle Oguz Kagan Itil tegen mürenge keldi, Itil tegen bedük bir müren turur. Oguz Kagan anı kördi. takı tedi kim: Itilning sugıdın neçük keçerbiz, tep tedi.
Çerigde bir yakşı beg bar irdi,
anung ati Ulug Ordu Beg irdi,
uslug ukgulug bir ir irdi.

kördi, kim: kudugida köp telim tallar, köp telim ıgaçlar bar irdi. Oşbu beg oşul igaçlar .... kesdi, ıgaçlarda yatdı, keçdi. Oguz Kagan sevinç atdı, küldi. Takı aytdı, kim:
ay, ay, sen munda beg bolung,
Kipçak tegen sen beg bolung,
tep tedi.
Takı ilgerü kitdiler. Andın song Oguz Kagan kene kök tülüklüg, kök çallug irkek böri kördi. Oşbu kök böri Oguz Kaganga aytdı, kim: " amtı çerig birle mundun atlang, Oguz. Atlap il künlerni, beglerni kiltürgil, men senge başlap yolnı körgürür men", tep tedi. Tang irte boldukda Oguz Kagan kördi, kim: irkek böri çerigning tapuklarıda yürügüde turur, sevindi, ilgerü kitdi.
Oguz Kagan bir çokurdın aygır atka mine turur ırdi.
Oşul aygır atnı bek çok siviyür irdi.
colda oşbu aygır at közdin yitü kaçdı, kitdi.
Munda ulug bir tag bar irdi,
öze üstünde tong takı muz bar turur,
anung başı sogukdın ap ak turur,
anung üçün anung atı Muz tag turur.
Oguz Kagannıng atı Muz tag içige kaçıp kitdi.
Oguz Kagan mundın köp çıgay, emgek çekip turdı.
Çerigde bir bidik kakız ir beg bar irdi,
çalang bulangdın korukmaz turur irdi.
çürügüde, sogurguda onga ir irdi.
Oşul beg taglarga kirdi, yürüdü, tokuz kündün song Oguz Kaganga aygir atnı kiltürdi. Muz taglarda köp soguk bolupdın ol beg kagardın sarunmış irdi, ap ak irdi. Oguz Kagan sivinç birle küldi, aytdı kim:
ay, sen munda beglerge bolgıl başlık,
ma menglep senge at bolsun Kagarlık,
tep tedi.
Köp erdini soyurkadı, ilgerü kitdi.
Kene yolda bedük bir öy kördi,
bu öynüng tagamı altundın irdi,
tunglukları takı kümüşdün,
kalıkları temürdün irdiler irdi,

kapuluk irdi, açkıç yok irdi.
Çeriede bir yakşı çeber ir bar irdi,
anung atı Tömürdü Kagul tegen irdi.
Anga çarlıg kıldı, kim: sen munda kal, aç kalık, açgungdun song kilordıga, tep tedi. Mundın anga Kalaç at koydı, ilgerü kitdi.
Kene bir kün kök tülüklüg, kök çallug irkek böri yürümeyin turdı.
Oguz Kagan takı turdı,
kurıkan tüşküre turgan turdi.
tarlagusız bir yazı yir irdi,
munga Çürçet tetürürler irdi,
bedük bir yurt, il kün irdi,
yılkıları köp, ud, buzagları köp, altun kümüşleri köp, erdinileri köp irdiler irdi. Munda Çürçet kaganı, il künı Oguz Kaganga karşu kildiler. Uruş tokuş başlandı. Oklar birle, kılıçlar birle uruşdılar.
Oguz Kagan başdı,
Çürçet Kagannı basdı,
öltürdi, başın kesdi,
Çürçet il künin öz agızıga bakınturdı. Uruşgudun song Oguz Kagannung çerigige, nökerlerige, il künige antag ulug ölüg bargu tüşdi, kim, yüklemekke, kiltürmekke at, kagatır, ud azlık böldı. Munda Oguz Kagannung çerigide uslug yaşkı bir çeber kişi bar irdi, anung atı Barmaklıg Cosun Billig irdi. Bu çeber bir kanga çapdı.
kanga üztünde ölüg bargunı koydı,
kanga başıda tirig bargunı koydi.
Tarıtdılar, kitdiler. Nökerlernüng, il künnüng kamagı munı kördiler, şaşdılar, kangalar takı çapdılar. Munlar kanga yürümekde, „kanga", „kanga" söz bire turur irdiler irdi, anung üçün anlarga „kanga" at koydılar. Oguz Kagan kangaların kördü, küldi, takı aytdı, kim:
„kanga" „kanga" birle ölügnı tirig yürügürsün,
Kangalug senge at bolguluk kanga belgürsün,
tep tedi, kitdi.

Andın song kene bu kök tülüklüg, kök çallug irkek böri birle Sındu, takı Tanggud, takı Sagam yınggaklarıga atlap kitdi. köp uruşgudın, köp tokuşgudun song anlarnı aldı, öz yurtıga birledi, başadı basdı. Kene taşkarun kalmasun, bellüg bolsun, kim: kündünki bulungda Baraka tegen bir yir bar turur, ulug bargulug bir yurt turur,
köp ısıg bir yir turur,
munda köp kikleri, köp kuşları bar turur;
altunı köp, kümüşi köp, irdinileri köp turur,
il künlerining önglükı çıragı kap kara turur.
Oşul yirning kaganı Masar tegen bir kagan irdi.
Oguz Kagan anung üslige atladı.
Antag yaman uruşgu boldı.
Oguz Kagan başdı,
Masar Kagan kaçdı,
Oguz anı basdı,
yurtın aldı, kitdi,
Anung dostları köp sivinçler tapdı,
anung duşmanları köp kaygular tapdı,
Oguz Kagan başdı, sanagulugsız nemeler, yılkılar aldı, yurtıga, öyige tüşdi, kitdi.
Kene çaşkarun kalmasun, kim, bellüg bolsun, kim: Oguz Kagannung canıda ak sakallug, moz saçlug, uzun uslug bir kart kişi turur bar irdi, ukgulug, tüzün bir yir irdi, tüşimel irdi, anung atı Ulug Türük irdi.
Künlerde bir kün uykuda bir altun ya kördi,
takı üç kümüş ok kördi.
Bu altun ya kün togışıdın ta kün batuşıgaça tegen irdi.
Takı bu üç kümüş ok tün yanggakka kite turur irdi.
Uykudun song tüşde körgenin Oguz Kaganga biltürdi.
Taki tedi, kim:
Ay Kaganum, senge caşgu bolsungıl uzun.
Ay Kaganum senge türlük bolsungıl tüzün,
benge Kök Tengri birdi tüşümde kiltürsün,
tala turur yirni urugungga birtürsün,
tep tedi.
Oguz Kagan Ulug Türüknüng sözün yakşı kördi, ögütün

tiledi, ögütüge köre kıldı. Andın song irte bolupta agalarnı, inilerni çarlap kiltürdi. Takı aytdi, kim:

ay, mening köngülüm avni tilep turur,
karı bolgumdın mening kakızlukum yok turur.
Kün, Ay, Yulluz, tang sarıga senler barung,
Kök, Tag, Tengiz tün sarıga senler barung,
tep tedi.

Andın song üçegüsü tang sarıga bardılar,
takı üçegüsü tün sarıga bardılar.

Kün, Ay, Yulluz köp kikler, köp kuşlar avlagularıdın song çolda bir altun yanı çapdılar, aldılar, atasıga birdiler. Oguz Kagan sivindi, küldi. Takı yanı üç buzgulug kıldı. Taki aytdı, kim: Ay, agalar, ya bolsun senlernüng, ya teg oklarnı kökkeçe atung, tep tedi.

Kene andın song Kök, Tag, Tengiz köp kikler, köp kuşlar avlagularıdın song çolda üç kümüş oknı çapdılar, aldılar, atasıga birdiler. Oguz Kagan sivindi, küldi. takı oklarnı üçüge üleştürdi, takı aytdı, kim:

ay iniler, oklar bolsun senlernüng, ya atdı oknı, oklar teg senler bolung, tep tedi.

Kene andın song Oguz Kagan ulug kurıltay çakırdı, nökerlerin, il künlerin çarlap çakırdı. Kilip kingeşip olturdılar. Oguz Kagan bedük orduda . . . . . ong yakıda kırık kulaç agaçnı tiktürdi.

anung başıda bir altun taguk koydı,
adakıda bir ak koyun bagladı.
Çong yakıda kırık kulaç agaçnı tiktürdi,
anung başıda bir kümüş taguk koydı,
adakıda bir kara koyunnı bagladı,
ong yakda Buzuklar olturdi,
çong yakda Uçoklar olturdı.

kırık kün, kırık kiçe aşadılar, içdiler, sivinç tapdılar.

Andın song Oguz Kagan ogullarıga yurtın elişlürüp birdi, takı tedi kim:

„ay ogullar, köp men aşdum,
uruşgular köp men kördüm,
cıda bile ok köp atdum,
aygır birle köp yürüdüm,
duşmanlarnı ıglagurdum,
dostlarumnı men kültürdüm,
kök tengrige men ötedim,
senlerge bire men yurdum",
tep tedi.

თ ა რ გ მ ა ნ ი

...იყოსო იგი, — თქვეს.
აი, ეს არის მისი სახე*.
ამის შემდგომად გაიხარეს.
ერთ დღეს ჩაუდგა აი ხაკანს[1] თვალში ნათელი*,
დაბადა ვაჟი.
ყმაწვილს სახე ცისფერი,
ბაგეები ცეცხლისფერი ჰქონდა.
თვალები წითელი, თმები, წარბები შავი ჰქონდა.
მშვენიერ ნეფსიქზე[2] მეტი სილამაზე ჰქონდა.
იმ ყმაწვილმა დედის მკერდიდან ხსენი იგემა
და აღარ ინდომა.
უმ ხორცს, საჭმელს და ღვინოს ითხოვდა
და ამეტყველდა.
ორმოცი დღისა გაიზარდა, ფეხი აიდგა და თამაშობდა.
ფეხები ხარის ფეხებს მიუგავდა,
წელი მგლის წელს მიუგავდა,
მხარ-ბეჭი სიასამურის მხარ-ბეჭს მიუგავდა,
მკერდი დათვის მკერდს მიუგავდა,
სხეული ბალნით დაფარული ჰქონდა.
მწყემსავდა რემას,
ცხენზე ამხედრდა და ნადირობდა.
ბევრი დღისა და ღამის შემდეგ ჭაბუკი გახდა.
იმ დროს იმ ადგილს უსიერი დიდი ტყე იყო,
ბევრი მდინარე და ბევრი ღელე იყო,
ბევრი ნადირი გაივლიდა,
ბევრი ფრინველი გადაიფრენდა.
ამ ტყეში ვეება მარტორქა[3] იყო,

---

* დედაწში აქ ხარია ჩახატული
* დედაწშია „აი ხაკანს თვალი გაუბრწყინდა"

სჭამდა ცხენებს და ადამიანებს.
ძალზე საშიში ნადირი იყო.
მძიმე ტანჯვით სტანჯავდა ხალხს.
ოღუზ ხაკანი უშიშარი ვაჟკაცი იყო.
მარტორქაზე ნადირობა ისურვა.
ერთ დღეს გავიდა ნადირობად.
შუბით, მშვილდ-ისრით, ხმლითა და ფარით
წავიდა სანადიროდ.
თან წაიტანა ერთი ირემი.
წნელით მიაბა ხეზე, წავიდა.
და დადგა დილა.
როცა გათენდა, ისევ დაბრუნდა.
ნახა—მარტორქას ირემი წაეყვანა.
და დაიჭირა მაშინ დათვი,
ოქროს სარტყელით მიაბა ხეზე,
თვითონ წავიდა.
და დადგა დილა.
გათენებისას კვლავ დაბრუნდა.
ნახა, მარტორქას დათვიც წაეყვანა.
მაშინ თვით დადგა იმ ხის ძირში.
მოვიდა მარტორქა.
თავით ეძგერა ოღუზის ფარს.
შუბით გაუპო თავი ოღუზმა
და მოაკვდინა.
ხმალით მოჰკვეთა თავი, წაიღო.
როცა დაბრუნდა, ნახა შევარდენი შეექცეოდა მარტორქის შიგანს.
მშვილდ-ისრით მოჰკლა შევარდენი,
თავი მოჰკვეთა.
და თქვა:
აი, ეს არის შევარდნის სახე*
[მარტორქამ] ირემი შეჭამა, დათვი შეჭამა.
ჩემმა შუბმა განგმირა იგი,
რამეთუ რკინისაა [ჩემი შუბი]
მარტორქას შევარდენი შეექცეოდა,
ჩემმა მშვილდ-ისარმა განგმირა იგი,

---

* ხელნაწერში ამ ადგილს ჩახატულია შევარდენი .

რამეთუ სპილენძისაა[1] იგი,—
თქვა და წავიდა.
აი, სახე იმ მარტორქისა*.
ერთ დღეს ერთ ადგილს „თენგრის“ შეეყარა ოღუზ ხაკანი.
დაბნელდა ირგვლივ.
ციდან დაეშვა ლურჯი სხივი.
იყო ეს სხივი მზეზე ნათელი
და მთვარეზე უბრწყინვალესი.
მას მიაშურა ოღუზ ხაკანმა და დაინახა:
სხივის შუაში ასული იყო.
ის მარტო იყო.
ძალზე ლამაზი ასული იყო.
შუბლზე ცეცხლოვანი მანათობელი ხალი ჰქონდა
შუქურ ვარსკვლავის მსგავსი.
იგი ისეთი ლამაზი იყო,
თუ იცინოდა, ლურჯი ზეცა სიცილს იწყებდა,
თუ იტირებდა, ლურჯი ზეცა ტირილს იწყებდა.
ოღუზ ხაკანმა დაინახა,
გონი დაკარგა,
შეიყვარა, თან წაიყვანა.
იმასთან დარჩა, წადილს ეწია.
მიდგომილ იქნა ის ქალი.
ბევრი დღისა და ღამის შემდეგ გაბრწყინდა იგი.—
სამი ვაჟი შვა.
პირველს სახელად „მზე“ დაარქვეს,
მეორეს სახელად „მთვარე“ დაარქვეს,
მესამეს სახელად „ვარსკვლავი“ დაარქვეს.
და კვლავ წავიდა სანადიროდ ოღუზ ხაკანი.
ტბის შუაგულში თავის წინ ერთი ხე დაინახა.
ხის ფუღუროში ქალი იჯდა.
ის მარტო იჯდა.
ძალზე ლამაზი ქალი იყო.
თვალები ცაზე ულურჯე ჰქონდა,
თმები მდინარის ტალღებივით ჰქონდა.
კბილები მარგალიტებივით ჰქონდა.

---

* ხელნაწერში ჩახატულია მარტორქა.

ისეთი ლამაზი იყო,
მის დანახვაზე ხალხი ამბობდა:
ოჰ, ოჰ, ვიხოცებითო,
რძე კი კუმისად იქცეოდა.
ოღუზ ხაკანმა გონი დაკარგა,
გულზე ცეცხლი მოეკიდა,
შეუყვარდა, იმასთან დარჩა, წადილს ეწია..
მიდგომილ იქნა ის ქალი,
ბევრი დღისა და ღამის შემდეგ
გაბრწყინდა იგი — სამი ვაჟი შვა.
პირველს სახელად „ცა“ დაარქვეს,
მეორეს სახელად „მთა“ დაარქვეს,
მესამეს სახელად „ზღვა“ დაარქვეს.
შემდგომ ამისა ოღუზ ხაკანმა თოი[5] გამართა,
ხალხს მოუწოდა, ითათბირეს, შეიკრიბნენ.
ორმოცი მაგიდის, ორმოცი სკამის გამოთლა ბრძანა,.
ნაირნაირ ჭამადს და ღვინოს,
ტკბილეულს, კუმისს შეექცეოდნენ.
და თოის შემდეგ ოღუზ ხაკანმა
ხალხისა და ბეგებისათვის ბრძანება ბრძანა:
„მე გავხდი თქვენი ხაკანი.
ისრები ავიღოთ, ფარები ვიფაროთ.
ჩვენი დამღა იყოს „ბუიან“[6],
ჩვენი ურანი[7] „ლურჯი მგელი“,
ტყე იყოს ჩვენი რკინის შუბი,
ჩვენს სანადირო ადგილებში რბოდნენ ყულანნი[8],.
იდინონ ჩვენმა ზღვებმა და წყლებმა.
მზე დროშად გვჭონდეს,
ცა კარვად გვქონდეს“.
ამის შემდგომად ოღუზ ხაკანმა
ქვეყნის ოთხ მხარეს ბრძანება შეთვალა,
მორჩილების ბარათი ელჩებს გაატანა.
მისწერა:
„მე ვარ ხაკანი უიღურთა[9].
მხამს ვბრძანებლობდე დედამიწის ოთხივე მხარეს..
მოვითხოვ თქვენგან მორჩილებას.
ვინც მემორჩილოს, ძღვენი მომართვას,
მეგობრად ვიცნო. ვინაც არა და, მტრად ჩავთვალო,.

ლაშქარი შევყარო, რისხვად მოვევლინო,
ხელად დავამარცხო, ჩამოვახრჩობინო“.
მარჯვენა მხარეს განაგებდა ალთუნ ხაკანი[10].
ალთუნ ხაკანმა ოღუზ ხაკანს ელჩი აახლა,
განუზომელი ოქრო-ვერცხლი, იშვიათი იაგუნდები,
ურიცხვი განძი მიართვა და
დაემორჩილა ოღუზ ხაკანს,
ძღვენით კეთილგანაწყო და დაუმეგობრდა.
მარცხენა მხარის ხაკანი იყო,
ურუმი[11] ერქვა.
ბევრზე ბევრი ლაშქარი ჰყავდა,
ბევრზე ბევრი ქალაქი ჰქონდა.
ყურად არ იღო ურუმ ხაკანმა ოღუზის ბრძანება,
არ ემორჩილა,
„არ შევასრულებ მის ნათქვამსო“.
ოღუზ ხაკანმა რისხვა აფრქვია,
დროშები გაშალა, ლაშქარი დასძრა.
მეორმოცე დღეს მუზთაღის[12] ძირას
კარავი გაშალა, მშვიდად დაიძინა.
გარიჟრაჟზე ოღუზის კარავში მზის სხივის მსგავსი სხივი შეიჭრა,
იმა სხივიდან ლურჯბალნიანი, ლურჯფაფრიანი
უზარმაზარი ხვადი მგელი გამოვიდა.
უთხრა იმ მგელმა ოღუზ ხაკანს:
„ჰე, ოღუზ, ურუმისაკენ გაგიწევია შენ,
ჰე, ოღუზ, მე გაგიძღვები შენ“.
ოღუზ ხაკანმა კარავი აშალა, დაიძრა.
და ხედავდა, რომ ლურჯბალნიანი, ლურჯფაფრიანი
ხვადი მგელი სულ წინ უძღოდა
და მას მისდევდა მთელი ლაშქარი.
დღეების შემდეგ ლურჯბალნიანი, ლურჯფაფრიანი
ხვადი მგელი შედგა.
შედგა ოღუზიც თავისი ლაშქრით.
აქ ერთი დიდი ზღვა იყო, ითილ მდინარე[13] ერქვა სახელად.
ითილის პირას, შავი მთის[14] ძირში ბრძოლა გაჩაღდა.
ისრებით, შუბებით, ხმლებით იბრძოდნენ.
ორ ლაშქარს შორის სასტიკი ბრძოლა მოხდა.
განუზომელი დარდი ჩადგა კაცთა გულებში.
შერკინება უწყალო იყო.

ისე გაწითლდა ითილის წყალი, როგორც სისგური.
ოღუზ ხაკანმა გაიმარჯვა, ურუმ ხაკანი გააქცია.
ხელთ იგდო მისი სახაკანო და მისი ხალხი.
თავის ბანაკში წაასხა მისი საქონელი და წაიღო მთელი ქონება.
და ურუმ ხაკანს ერთი ძმა ჰყავდა,
სახელად ურუზ ბეგი[15] ერქვა.
იმ ურუზ ბეგმა თავისი ძე იქ გააგზავნა,
დიდი მდინარის შუაში რომ ქალაქი იყო.
ასე უბრძანა:
„ქალაქი კარგად დაგვიცავი, შეგვინარჩუნე
და დაგვიბრუნდი ბრძოლის შემდეგ".
ოღუზ ხაკანი იმ ქალაქზე გაემართა,
ბეგის ძემ ბევრი ოქრო-ვერცხლი შეაგება,
ეუბნებოდა:
„ჩემო ხაკანო, მამაჩემმა ეს ქალაქი მე ჩამაბარა,
ასე მიბრძანა: „ქალაქი კარგად დაგვიცავი, შეგვინარჩუნე
და დაგვიბრუნდი ბრძოლის ველიდან".
თუ მამაჩემმა გაგარისხა, მე რა ბრალი მაქვს?
მე შევასრულებ შენს ბრძანებას,
ძალა-უფლება, სიმდიდრე, სიბრძნე მე შენგან ვიცი,
ჩვენ ერთი გვაქვს ბედნიერება და გვარ-ტომობა.
ღმერთმა მიწა-წყალი შენ ჩაგაბარა,
მეც შენ გაბარებ ჩემს თავსა და ბედს.
ხარკს გადაგიხდი, არ მივატოვებ შენს მეგობრობას".
ოღუზ ხაკანს მოეწონა ყმაწვილის სიტყვა,
გაიხარა და გაიცინა.
უთხრა: „უზომო ოქრო-ვერცხლი მოგირთმევია,
კარგად გცოდნია ქალაქის დაცვა".
და ამის გამო მას სახელად საქლაბ[16] უწოდა.
დაიმეგობრა.
და მიადგა ოღუზ ხაკანი თავისი ლაშქრით
დიდ მდინარეს, ითილ მდინარეს.
იხილა იგი ოღუზ ხაკანმა და თქვა:
„როგორ გადავალთ ითილის წყალზე?"
ლაშქარში ერთი ბეგი იყო,
ულუღ ორდუ ბეგი[17] ერქვა სახელად.
მოხერხებული კაცი იყო.
მდინარის პირას ბევრი ტირიფი, ბევრი ხე ნახა.
დაჭრა ისინი. ხეებზე დაწვნენ, ისე გავიდნენ.

ოღუზ ხაკანმა გაიხარა და გაიცინა.
უთხრა: „აქაურობის ბეგი იყავ,
სახელად გერქვას ყივჩაღ ბეგი“.[18]
და გზა განაგრძო.
ისევ იხილა ოღუზ ხაკანმა
ლურჯბალნიანი, ლურჯფაფრიანი ხვადი მგელი,
ამ მგელმა უთხრა ოღუზ ხაკანს:
„დასძარ ლაშქარი, წაიყვანე ბეგები, ხალხი,
მე გაგიძღვები“.
როცა ინათა, დაინახა ოღუზ ხაკანმა—
ხვადი მგელი ლაშქარს უძღოდა.
გაიხარა და წინ წავიდა.
და ამხედრდა ოღუზ ხაკანი ულაყზე.
ძალზე უყვარდა ის ულაყი.
გზაში ცხენი თვალს მოეფარა, აღარ ჩანდა.
იქვე მახლობლად დიდი მთა იყო,
მასზე ყინული და ჭირხლი იდო,
სიცივისაგან მწვერვალი მთლად გასთეთრებოდა
და ამის გამო მას სახელად მუზთაღს ეტყოდნენ.
ცხენი მუზდაღში გაუჩინარდა.
იტანჯებოდა ამის გამო ოღუზ ხაკანი.
ლაშქარში ერთი მამაცი ბეგი იყო,
ლაშქრობებსა და სიცივეებში ნაწრთობი იყო,
არაფერი აშინებდა, ვაჟკაცი იყო.
ბეგი შეუყვა მთებს, წავიდა.
ცხრა დღის შემდეგ ოღუზ ხაკანს ულაყი მოჰგვარა.
მუზთაღის სიცივეს ბეგი ჭირხლით დაეფარა,
მთლად თეთრი იყო.
ოღუზ ხაკანმა გაიხარა და გაიცინა.
უთხრა: „დღეიდან ბეგთა მეთაურად დამიდგენიხარ,
დღეიდან გერქვას ყაღარლიღი“[19].
ურიცხვი განძით დაასაჩუქრა, გზა განაგრძო.
და გზაზე დიდი სახლი შეხვდა.
სახლს სახურავი ოქროსი ჰქონდა, ერდო—ვერცხლისა,
ბჭე რკინის ჰქონდა,
დაკეტილი იყო, გასაღები არა ჰქონდა.
ლაშქარში ერთი ახოვანი ვაჟკაცი იყო,
თომურდუ ყალულ ერქვა სახელად.
იმას უბრძანა: „აქ დარჩი და კარი გააღე.

როცა გააღო, ბანაკში მოდი“.
ამის გამო მას სახელად კალაჩ[20] დაარქვა.
და გზა განაგრძო.
ლურჯბალნიანი, ლურჯფაფრიანი ხვადი მგელი
ერთ დღეს კვლავ შედგა.
შედგა ოღუზიც, კარავი დასცა.
მწირი ყამირი ადგილი იყო, ერქვა ჯურჯითი[21]—
დიდი ქვეყანა, დიდი ხალხი, დიდი რემები,
ბევრი ხარ-ძროხა, ოქრო-ვერცხლი და დიდი განძი.
ჯურჯითის ხაკანი თავისი ხალხით ოღუზ ხაკანზე წამოვიდა.
ბრძოლა შეიქნა. ისრებითა და ხმლებით იბრძოდნენ.
ოღუზ ხაკანმა გაიმარჯვა, გაანადგურა.
ჯურჯითის ხაკანს თავი მოჰკვეთა.
ჯურჯითის ხალხი დაიმორჩილა.
ოღუზის ლაშქარს, მის ნუქერებს,[22]
ხალხს ისეთი ალაფი ერგო,
გადასატანად ცხენი და ჯორი, ხარი არ ეყო.
ლაშქარში ერთი ახოვანი ვაჟკაცი იყო,
ბარმაქლუქ ჩოსუნ ბილიგ ერქვა.
იმან ურემი გააკეთა, ნადავლით დატვირთა,
შიგ ტყვეები შეაბა და გააწევინა.
ნუქერებმა და ხალხმა იხილეს, გაუკვირდათ.
მათაც მაშინვე გააკეთეს ბევრი ურემი.
ურმები გზაში ჭრიალებდნენ „ყანღა, ყანღაო“
და ამის გამო მათ სახელად ყანღა[23] დაარქვეს.
ოღუზ ხაკანმა დაინახა ეს ყანღები და გაიცინა.
უთხრა: „დე, ასე ზიდონ ტყვეებმა ნადავლი,
ხოლო შენთვის ყანღალუღი დამირქმევია.
დე, იგი ყანღას გვაგონებდეს“.
და გზა განაგრძო.
ლურჯბალნიან, ლურჯფაფრიან ხვად მგელთან ერთად
კვლავ გაემართა სინდის[24], ტიბეტის[25] და შამის[26] მხარეს.
ბრძოლებისა და სისხლისღვრის შემდეგ
დაიპყრო და თავის მიწას შემოუერთა.
თავს დაესხა, დაიმორჩილა.
დე, ნუ იქნება დავიწყებული, გახდეს ცნობილი,
რომ ნათელი დღის მხარისაკენ[27] ქვეყანა იყო,
ბარაქა[28] ერქვა.

ძალზე მდიდარი, ძალზე ცხელი ქვეყანა იყო.
მასში უზომო ცხოველი და ფრინველი იყო.
ბევრი ოქრო და ბევრი ვერცხლი,
ბევრი თვალი და მარგალიტი იყო.
მის მკვიდრთ პირსახე შავი ჰქონდათ.
ამ ქვეყანას ხაკანი ჰყავდა, მასარი ერქვა.
მასზე წავიდა ოღუზ ხაკანი.
დაუნდობელი ბრძოლა მოხდა.
ოღუზმა სძლია. მასარ ხაკანი გააქცია,
ხელთ იგდო მისი ქვეყანა.
ოღუზის მეგობრებმა გაიხარეს,
ოღუზის მტრები დანაღვლიანდნენ.
ოღუზ ხაკანმა გაიმარჯვა,
დიდი ქონება, ჯოგი და რემა ხელში ჩაიგდო.
და გზას გაუდგა სამშობლოსაკენ, თავის სახლისკენ.
ნუ მიეცემა დავიწყებას, ცნობილი იყოს,
რომ ოღუზ ხაკანს
ახლდა თეთრწვერა, თმაჭაღარა, გამოცდილი ერთი მოხუცი,
კეთილშობილი კაცი იყო,
სახელად ულუხ თურუქი ერქვა.
ესიზმრა ერთხელ ოქროს მშვილდი და სამი ცალი ვერცხლის ისარი.
ოქროს მშვილდი აღმოსავლეთით დასავლეთისკენ გაწვდილიყო,
ვერცხლის ისრები კი ღამის მხარეს მიმართულიყო.
რომ გაიღვიძა, ეს სიზმარი ოღუზს უამბო.
ეუბნებოდა: „ჰე, ჩემო ხაკანო, იყავ დღეგრძელი!
ჰე, ჩემო ხაკანო, საამური გქონდეს ყოფა!
ახდეს სიზმარი, რომელიც ღმერთმა მომივლინა.
ღმერთმა უბოძოს ეს ქვეყანა შენს შთამომავალთ".
ძალზე ეამა ეს სიტყვები ოღუზ ხაკანს.
თათბირი ისმინა,
ისე მოიქცა, როგორც ურჩიეს.
როცა გათენდა, უფროს და უმცროს ძმებს მოუწოდა.
ეუბნებოდა:
„ჩემს გულს ნადირობა უნებებია,
სიბერე მახლავს, გამბედაობა აღარ მყოფნის.
მზეო, მთვარევ და ვარსკვლავებო,
დილის მხრისაკენ[29] გაეშურეთ.
ცავ, მთავ და ზღვაო, ღამის მხრისაკენ[30] გაემართეთ.

და ამის შემდეგ სამი მათგანი
მზის ამოსვლის მხარეს წავიდა.
სამი მათგანი დაღამების მხარეს წავიდა.
მზემ, მთვარემ და ვარსკვლავებმა
ბევრი ნადირი, ბევრი ფრინველი მოინადირეს.
და ამის შემდეგ გზაზე ოქროს მშვილდი იპოვეს.
აიღეს იგი, მამას მიართვეს.
ოღუზ ხაკანმა გაიხარა და გაიცინა.
გატეხა იგი სამ ნაწილად.
თქვა:
„უფროსო ძმებო, თქვენ გქონდეთ მშვილდი,
მშვილდივით ცამდე სტყორცნიდეთ ისრებს.
ცამ, მთამ და ზღვამ ბევრი ნადირი, ბევრი ფრინველი მოინადირეს.
გზაზე ნახეს სამი ცალი ვერცხლის ისარი.
თან წამოიღეს, მამას მიართვეს.
ოღუზ ხაკანმა გაიხარა და გაიცინა,
გაუნაწილა ეს ისრები სამ ძმას და უთხრა:
„უმცროსო ძმებო, ეს ისრები თქვენი იყოს,
იმ მშვილდმა ტყორცნა ეს ისრები.
თქვენც ისრებივით ყოფილიყავით.
და ამის შემდეგ ოღუზ ხაკანმა
ყურულთაის[31] შეკრება ბრძანა.
ხალხი, ნუქერები მოვიდნენ, დასხდნენ, ითათბირეს.
ოღუზ ხაკანმა დიდ ბანაკში
მარჯვენა მხარეს ორმოცი წყრთა სვეტი აღმართა,
მის თავზე ოქროს ქათამი დადგა,
მის ძირში თეთრი ცხვარი მიაბა.
მარცხენა მხარეს ორმოცი წყრთა სვეტი აღმართა,
მის თავზე ვერცხლის ქათამი დადგა,
მის ძირში შავი ცხვარი მიაბა.
მარჯვნივ განლაგდნენ ბუზუქები,
მარცხნივ—უჩუქნი.
ორმოც დღესა და ორმოც ღამეს სჭამდნენ, სვამდნენ, ილხენდნენ.
და ამის შემდეგ ოღუზ ხაკანმა
საბრძანებელი თავის შვილებს გაუნაწილა.
ეუბნებოდა:
„ჩემო შვილებო,
მე ბევრი ვნახე,

ბევრი ომი გადავიხადე,.
ბევრი ისარი და შუბი ვტყორცნე..
ჩემი ცხენით ბევრი ვიარე.
მტერი ვატირე,. მოყვარე ვაცინე.
ღმერთის წინაშე ჩემი ვალი მოვიხადე,
თქვენთვის დამილოცნია ჩემი საუფლო,.

კომენტარები

1. აი-ხაკანი — სიტყვასიტყვით „მთვარე ხაკანი“ ამ პერსონაჟის შესახებ იხ. შესავალში.

ხაკანი — ტრადიციული ქართული გამოთქმა თურქული kagan ტიტულისა. ამ ტიტულს უძველესი დროიდან ფლობდნენ თურქ ტომთა მეთაურები. ძველ თურქულ წერილობით ძეგლში „თონუკუქის წარწერაში“ ხაკანის გვერდით გვხვდება მისი შეკეცით მიღებული ფორმა „ყან“ ან „ხან“. ვ. ვ. ბარტოლდის გარკვევით დიფერენციაცია kagan-სა და kan/han შორის მოგვიანებით მოხდა. Kagan ანუ hakan ხმარებოდა „ხანთა ხანის“ მნიშვნელობით. ამავე მნიშვნელობისაა kaan „ყაენი“ რომელიც kagan სიტყვის მონღოლური ფორმაა. (იხ. В. В. Бартольд, Соч., V. 602).

2. თურქულ თარგმანში ამ სიტყვის ბადალია melek „ანგელოსი“. „ანგელოსად“ თარგმნის მას ა. მ. შჩერბაკიც, ზოგი მეცნიერი ამ სიტყვაში საარსულ nevvaxšig — ხედავს, ზოგი კი სანსკრიტულ naivasika-ს. (А. М. Щербак, Огуз-Наме..., 66)

3. ამ ადგილს ტექსტში წერია სიტყვა, რომელსაც ა. მ. შჩერბაკი „ძნელად სათარგმნელ სიტყვად“ ცნობს და იმოწმებს რა ჩინურ-იეროღლიური ლექსიკონის მასალას, თარგმნის როგორც „მარტორქა“. „მარტორქაა“ თურქულ თარგმანშიც.

4. ამ ბოლო სიტყვებს სხვადასხვანაირად თარგმნიან ა. მ. შჩერბაკი, რიზა ნური და გიბი. განსხვავებას ქმნის მეექვსე გვერდის მეორე სტრიქონის ბოლო სიტყვების წაკითხვა. ა. მ. შჩერბაკი—yel „ქარი“. რიზა ნური, გიბი—yez „სპილენძი“. წინამავალი სტრიქონის შინააარსიდან გამომდინარე, ჩვენ უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია „სპილენძის“ წაკითხვა: „ჩემმა შუბმა განგმირა იგი, რამეთუ რკინისაა ჩემი შუბი, ჩემმა მშილდ-ისარმა განგმირა იგი, რამეთუ სპილენძისაა (ჩემი მშვილდ-ისარი).

5. თოი — პურობა, ღრეობა,.

6. ბუიან — სიკეთე, უბედურებისაგან თავის დაფარვა. (იხ. А. М. Щербак, Огуз-Наме, 73.)

7. ურანი — საბრძოლო შეძახილი, თანამედროვე პაროლის მსგავსი, რომელიც, ორი სიტყვისაგან შედგებოდა. ბრძოლაში შეხვედრისას ერთი მეომარი ერთ სიტყვას იტყოდა, მეორე — მეორეს და ამით გაარჩევდნენ თავისიანს მტრისაგან.

8. ყულანი — გარეული ცხენის ჯიში, რომელიც ამჟამად მხოლოდ შეაზიის ველებშია შემორჩენილი მცირე რაოდენობით.

9. უილურები — (იხ. შესავალი).

10. ალთუნ ხაკანი — ამ ხაკანის ვინაობის შესახებ იმდენად ერთმანეთის საწინააღმდეგო და ნაკლებ დასაბუთებული მოსაზრებები არსებობს, რომ სწორი უნდა იყოს ა. მ. შჩერბაკის დასკვნა, ალთუნ ხაკანს ფოლკლორული წყარო უნდა ჰქონდესო.

11. **ურუმ ხაკანი** — ფიქრობენ, რომ ეს უნდა იყოს ალანების ბელადი. (იხ. А. М. Щербак, Огуз-Наме, გვ. 95).

12. **მუზთაღი** — სიტყვასიტყვით „ყინულის მთა". იდრისის მიხედვით მდ. ირიზი სათავეს იღებს მაღალ მთაზე, რომელსაც მუზღარ ჰქვია. იბნ ჰალდუნის განმარტებით მუზღარ თოვლიან მთას ნიშნავს. იდრისის მიხედვით მუზღარის მთა ჰყოფს ოღუზთა მიწებს ბაშკირთა ქვეყნისაგან. ს. გ. აგაჯანოვი ფიქრობს, რომ იდრისი „მუზღარში" სამხრეთ ურალს უნდა გულისხმობდეს. (იხ. С. Г. Агаджанов, Очерки истории Огузов. . . . . 57) „ოღუზ-ნამეს „მუზთაღ" ივივე „მუზღარ" უნდა იყოს, ორივე „ყინულის მთას", „თოვლიან მთას" ნიშნავს.

13. **ითილი** — ასე უწოდებენ თურქული ტომები მდ. ვოლგას. ა. მ. შჩერბაკი ვარაუდობს, რომ ითილ ზოგადად მდინარესაც უნდა ნიშნავდეს. ამ ვარაუდს მხარს უმაგრებს ჩუვაშური ენის მონაცემებიც, სადაც ითილ მდინარეს ნიშნავს. (იხ. А. Н. Кононов. Родословная., 81). ვოლგა ითილ ჰქვია კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულებაშიც. (მოგვაქვს С. Г. Агаджанов-ის წიგნიდან Очерки истории... 129).

14. **შავი მთა** — შესაძლებელია, აქ იგულისხმებოდეს „დიდი მთა", ვინაიდან, როგორც ცნობილია, თურქულ ენებში „შავი" „დიდსაც" ნიშნავდა. იგი, როგორც ეპითეტი, ერთოდა აგრეთვე ხანების, გმირების საკუთარ სახელებს — ყარა ხან — შავი ხანი — დიდი ხანი („მეკალმური ვერსიის" ოღუზის შვილის სახელი). ერთოდა აგრეთვე სახელებს დიდის, დიდებულის გამოსახატავად. — „ყარა ყუშ" — დიდი ჩიტი — არწივი. (იხ. O. Pritsak, Qara. Studie zur Türkischen Rechtssymbolik. სტამბოლი, 1955. 239—263).

15. **ურუზ ბეგი** — ამ სახის საინტერესო ახსნას იძლევა ა. ნ. ბერნშტამი — მისი აზრით, „ოღუზ ნამეში" ურუზ ბეგის სახელთან დაკავშირებული ეპიზოდი წააგავს რუსული მატიანეების ცნობას რუსეთზე პაჭანიკების თავდასხმის შესახებ. ეს მსგავსება უფლებას აძლევს ურუზ ბეგში დაინახოს რომელიღაც რუსი მთავარი. ასეთი ვარაუდის შესაძლებლობას იძლევა ურუზ ბეგის საკუთარი სახელიც ურუზ-ურუსრუს. (იხ. А. Н. Бернштам, Историческая правда... 40—41).

16. **საქლაბ** — რიზა ნურის განმარტებით, ეს სიტყვა არაბული მრავლობითის ფორმაა صَقْلَبَة სიტყვისა, რაც სლავს ნიშნავს. (იხ. R. Nour, Oghouz-Name გვ. 6). როგორც ჩანს, „ოღუზ-ნამე" ამ სიტყვის ხალხურ ეტიმოლოგიას აკეთებს, ამსგავსებს რა მას თურქულ „saklamak"—დაცვა, შენახვა" ზმნის მნიშვნელობას. ეს სიტყვა „ოღუზ-ნამეშიც" გვხვდება: „Balukni bizge saklap kelgil". „ქალაქი დაგვიცავი და დამიბრუნდი".

17. **ულულ ორდუ ბეგ** — შესაძლებელია, ეს საკუთარი სახელი კი არ იყოს, არამედ ნიშნავდეს „დიდი ქალაქის ბეგი".

18. **ყივჩაღ ბეგი** — განზოგადებული სახე თურქული მოდგმის ტომისა. რაშიდ ედ-დინისა და აბულ ღაზის თხზულებებში ეს სიტყვა დაკავშირებულია Çıpçak სიტყვასთან, რაც ნიშნავს ხის ფუღუროს. „ოღუზ-ნამეც" ხეს უკავშირებს ამ სიტყვის ეტიმოლოგიას.

19. **ყალარლიღ ბეგი** — ალეგორიული სახე თურქული მოდგმის ტომისა. „ოღუზ-ნამე" ამ სიტყვის ხალხურ ეტიმოლოგიას იძლევა „kar" სიტყვიდან, რაც თოვლს ნიშნავს.

20 **კალაჩ** — სახელწოდება თურქული მოდგმის ტომისა, რომელიც X საუკუნეში ავღანეთის სამხრეთ ნაწილში მოსულა და დასახლებულა. (იხ. В. В. Бартольд, V, 603). „ოღუზ-ნამეში" ამ სახელის ეტიმოლოგია უკავშირდება სიტყვებს

„kal aq". რომლებიც აქ გაგებულია, როგორც „დარჩი. გააღე", რამიდ ედ-დინისა და ახბულ ღაზის თხზულებებში კი — „დარჩი მშიერი" და უკავშირდება ლეგენდას: ოღუზ ხაკანმა ისპაჰანი რომ აიღო და ბრუნდებოდა, გზაზე ერთმა ქალმა შვილი გააჩინა (მომთაბარე ტომთა ლაშქარს თან მთელი ტომი დაჰყებოდა დედა-წულთანად). ქალს შიშილით რძე გაშრობოდა. ამ დროს მისმა ქმარმა დაინახა, რომ მელას ხოხობი დაეჭირა და მიჰქონდა. კაცმა მელას ხოხობი დააგდებინა და ცოლი დააპურა. ამასობაში ლაშქარსაც ჩამორჩა. ოღუზ ხაკანი განრისხდა და ბრძანა „კალ აჩ"—დარჩი მშიერი" 1 (იხ. Рашид-эд.-дин. История Монголов. 14; А. Н. Кононов, Родословная туркмен, 46).

21. ჯურჯითი — იგივეა, რაც ჯურჯი, ჯურჯენი. ვ. ვ. ბარტოლდის განმარტებით, ჯურჯანები ტუნგუსური მოდგმის ხალხია, რომელთაც 1125 წ. დაიკავეს ჩრდილო ჩინეთის ტერიტორიები და დააარსეს „ოქროს დინასტია", ხოლო 1141 წ. სამარყანდის მახლობლად დაამარცხეს სელჩუკები და შექმნეს იმპერია, გადაჭიმული უიღურების ტერიტორიიდან კასპიის ზღვამდე (იხ. В. В. Бартольд, V. 210).

22. ნუქერი მონღოლური nökör/nüker — მეგობარი. მონღოლურში ეს ტერმინი აღნიშნავდა თავისუფალ მებრძოლს, თურქელი მოდგმის ხალხებში კი ამ სიტყვით აღნიშნებოდა „რაზმელი, სამეფრო მსახური". (შენიშვნა აღებულია; ა. ნ. კონონოვი, Родословная ... გვ. 80).

23. ყანღა — ორთლიანი ურემი, რომელიც დღესაც ამაგე სახელით არის ცნობილი ანატოლიის თურქებში. ჰკავს საქართველოს მთიანეთში გავრცელებულ ურემს.

24. სინდი — ა. მ. შერბაკი ამ სიტყვას თარგმნის როგორც ინდოეთი, თუმცა კითხვის ნიშნის ქვეშ. ინდოეთია „სინდი" ბაბურის თარგმანშიც.

25. ტიბეტი — ტექსტში ამ ადგილას წერია „თანგუთ". ამ სიტყვას ა. მ. შერბაკი თარგმნის როგორც „ტიბეტი" შენიშვნით, რომ ზოგიერთ თურქულ წყაროში თანგუთად იწოდება ტიბეტი. ი. შმიდტის ცნობით, XIII—XIV საუკუნეებში თანგუთებათ იწოდებოდნენ უიღურები, მაგრამ, როგორც ა. მ. შერბაკი შენიშნავს, ვინაიდან ტექსტში აღწერილია სწორედ უიღურების ბრძოლა სხვა ხალხების წინააღმდეგ, გამორიცხულია, რომ ეს ხალხები თვით უიღურები იყვნენ. მაჰმედ ყაშღარელს მიხედვით „თანგუთები თურქული ტომია, რომელიც ცხოვრობს ჩინეთის საზღვართან და თავის თავს არაბების ჩამომავლად მიიჩნევს". კ. დ' ოსონის მიხედვით თანგუთები ფლობდნენ დას. ჩინეთის დიდი პროვინციის შენ-სის ნაწილს. აქ იყო მდ. ხუან-ხეს სათავე. ჩინგიზ ყაენის ეპოქაში თანგუთა მოახსენება, როგორც პროვინცია, სადაც 1209 წელს მეფემდე შეეკრა ჩინგიზ ყაენი, დაამარცხა თანგუთის არმია და ალყა შემოარტყა სატახტო ქალაქს ჩუნ-სინს, რომელიც მდ. ხუან-ხეს დას. ნაპირზე მდებარეობს. თანგუთი ქვეყნის სახელწოდებაა ბილგე ხანის ეპიტაფიაში: 700 წელს ბილგე ხანს თანგუთზე ულაშქრია. (იხ. Д'Оссон. История Монголов.. 15. 80.) (იხ. Л. Гумилев. Древные тюрки, 331).

26. შამი — ასე ჰქვია არაბულად სირიასა და დამასკოს.

27. ნათელი დღის მხარე — სამხრეთი.

28. ბარაქა — ამ გეოკრაფიული სახელის წაკითხვაში აზრთა სხვადასხვაობაა. რიზა ნური მას კითხულობს, როგორც ბეჩექე/ბეჩექე, ვ. ვ. რადლოვი—ბაჩაქ, ბანგი—ბარქან. თურქული გამოცემა იმეორებს ბანგის წაკითხვას—ბარქან. ჩვენ ვიყენებთ ა. მ. შერბაკის წაკითხვას—ბარაქა. (იხ. Riza-Nour, Ougiouz-Namé, გვ. 45; W. Bang, G. R. Rahmati, Di legende . . 14). არც ერთ დასახელებულ ავტორს არა

აქეს განსაზღვრული ამ პუნქტის ადგილ-მდებარეობა. „ოღუზ-ნამეს“ მიხედვით ბარა—ჭა „ნათელი დღის მხარისაკენ იყო და ძალზე ცხელი ქვეყანა იყო“.

იდრისის მიხედვით ბარაქ—მდინარის სახელია. ეს მდინარე ხორეზმის ტბას უერთდება. ძნელი დასაკავშირებელია ბარაქ მდინარე და ბარაქა ქვეყანა. იდრისთან ამდაგვარი სახელწოდებით გვხვდება ქალაქიც, რომლის ადგილმდებარეობა მთლად გარკვეული არ არის. შესაძლებელია “ბარაქათ“ “ოღუზ-ნამეს“ “ბარაქა“ იყოს.

აბულ ღაზის განმარტებით ბარაქა არის ქვეყანა, სადაც შავკანიანი ხალხი ცხოვრობს. მათ მბრძანებელს ით-ბარაქ ჰქვია. საკუთარ სახელში “ით“ - “ძაღლი“ სიტყვის ხმარება ჩვეულებრივია და სპატიო თურქული ტომებისათვის. ით-ბარაქ გრძელბალნიანი გრძნეული ძაღლია, რომელზედაც ამხედრდებიან ხოლმე შამანები ცაში სამოგზაუროდ (იხ. А. Н. Кононов. Родословная... стр. 86).

29. **დილის მხარე** — აღმოსავლეთი.

30. **საღამოს მხარე** — დასავლეთი.

31. **უურულთაი** — ტომის თავყრილობა, რომელსაც ესწრებოდა ტომის ყველა სრულწლოვანი წევრი.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი 3
„ოღეზ ნამეს“ უიღურული ტექსტი 32
თარგმანი 42
კომენტარები 53

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი ს. ჯიქია
გამომცემლობის რედაქტორი დ. ლეჟავა
ტექრედაქტორი ნ. ოკუჯავა
კორექტორი ც. დევდარიანი

გადაეცა წარმოებას 5.8.1974; ხელმოწერილია დასაბეჭდად 4.11.1974;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 2; ნაბეჭდი თაბახი 3.75;
საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 2.68;
უე 01111; ტირაჟი 600; შეკვეთა № 2379

ფასი 25 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 19.
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკად. სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Тип. АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19